მოგზაური

ყოველკვირეული ჟურნალი

№ 6. კვირა, 20 თებერვალი 1905 წლისა. № 6.

თფილისის ქალაქის მოურავი ამით აცხადებს, რომ შემოწირულებანი ბაქოში 5—11 თებერვალს დაზარალებულთა სასარგებლოთ (განურჩევლათ ეროვნებისა და წოდებისა) მიიღება ქალაქის გამგეობაში ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, 10 დან 3 საათამდე.

(3—2) ქალაქის მოურავი ქ. ვერმიშევი.

შინაარსი: უმაღლესი მანიფესტი.—კიდევ ბაქოში მომხდარ ამბების გამო, ფ. მახარაძისა.—გურიის ვითარების შესახებ.—სხვადასხვა ამბები.—რუსეთის ქრონიკა.—ომის ამბები.—ნაწყვეტი, ლექსი კ. გოგიბერაძისა.—თაგუნას ლექსი, თაგუნასი.—რა არის პარტია, ან.-ისა.—კვირიდან კვირამდე, ეშმაკისა.—პაწია შენიშვნა დიდ კითხვაზე, ს.-ისა.—მუშათა კავშირები, ა. წულუკიძისა.—ცოტა რამ გაღატაკების თეორიაზე, ლ. ახმეტელაშვილისა.—საზოგადოებრივ-ისტორიული წერილები, თარგმანი ლ. ელიავასი.—ჟურნალ-გაზეთებიდან.—განცხადებანი.

უმაღლესი მანიფესტი.

„წყალობითა ღვთისათა ჩვენ, ნიკოლოზ მეორე, იმპერატორი და თვით-მპყრობელი სრულიად რუსეთისა, მეფე პოლონეთისა, დიდი მთავარი ფინლიანდიისა და სხვათა ვუცხადებთ ჩვენ ერთგულ ქვეშევრდომთ: ღვთის მიუნდობელმა განგებამ კეთილ ინება და მოუვლინა ჩვენს სამშობლოს დიდი განსაცდელი. რუსეთის სახელისა და ღირსების დასაცველათ და აგრეთვე დიდ ოკეანეში ბატონობის განსამტკიცებლათ ამ-ტყდარმა ომმა მოითხოვა რუსის ხალხისაგან ძალთა გაორკეცება და შეთანხმა მრავალი ძვირფასი და ჩვენთვის მახლობელი მსხვერპლი. იმ დროს, როდესაც რუსეთის მამაცნი შვილნი თავ-გამოდებით იბრძვიან და სიცოცხლეს წირავენ სარწმუნოებას, მეფესა და სამშობლოს, შიგნით სამშობლოში ასტყდა არეულობა მტერთა გასახარებლათ და ჩვენდა სამწუხაროთ. მედიდურობით დაბრმავებული ამბოხების ბოროტმომქმედი მეთაურები შეეხვენ მართლ-მადიდებელ ეკკლესიის მიერ ნაკურთხ და კანონების მიერ განმტკიცებულ ჩვენი სახელმწიფოს ძირითად საფუძვლებს და ამით ღამობდენ წარსულთან ბუნებრივ კავშირის გაწყვეტას, აწ არსებულ სახელმწიფო წეს-წყობილების დარღვევას და ამის ნაცვლათ ახალ მართვა-გამგეობის განმტკიცებას ისეთ საფუძველზე, რომელიც ჩვენ სამშობლოს არ შეეფერება. ბოროტი მკვლელობა დიდის მთავრისა, რომელსაც ესოდენ უყვარდა მოსკოვი და რომელიც უდროოთ დაიღუპა საზარელის სიკვდილით მოსკოვის კრემლის სამღვთო ნაშთთა შორის, ღრმათ შეურაცხ-ყოფს ყველას გრძნობას, ვისთვისაც ძვირფასია რუსეთის სახელი და ჩვენი სამშობლოს დიდება. ყველა ამ ზეცით მოვლენილ განსაცდელს და უბედურებას მორჩილებით ვიღებთ და იმედი გვაქვს ღვთის მოწყალებისა, რომელიც რუსეთს მოევლინება ხოლმე. იმედი გვაქვს აგრეთვე ჩვენი ხალხის ერთგულებისა. მართლ-მადიდებელ ეკკლესიის ღოცვა-კურთხევით, თვით-მპყრობელ მეფის მფარველობით და იმასთან კავშირით რუსეთს არა ერთხელ განუცდია დიდი ომები და არეულობანი და ყოველთვის გამარჯვებული გამოსულა. მაგრამ ამ ბოლო დროის სულიერი განწყობილება და აზრის რყევანი, რომელთაც ხელი შეუწყვეს ღალატისა და უწესოების გავრცელებას, გვავალებს ჩვენ მოვაგონოთ სახელმწიფო დაწესებულებათ და ყველა უწყებისა და ხარისხის მთავრობათ სამსახურის მოვალეობა და ფიცი მოვუწოდოთ ყურადღების გასაორკეცებლათ კანონის, წესიერების და უზრუნველყოფის დაცვისათვის ზნეობრივ და სასამსახურო პასუხის გების შეგნებით წინაშე ტახტისა და სამშობლოისა. ვზრუნავთ რა მუდამ ხალხის კეთილდღეობაზე და ვცრწამს რა ღრმათ, რომ უფალი ღმერთი, ჩვენის გამოცდის შემდეგ, გამარჯვებას მიანიჭებს ჩვენ იარაღს, ჩვენ მოუწოდებთ ყველა წოდებისა და მდგომარეობის კეთილ-მოაზრე პირთ შეერთებული ძალით დაგვეხმარონ ჩვენ სიტყვითა და საქმით ძლიერ გარეშე მტრის დამარცხების წმინდა და დიდ საქმეში, ღალატის აღმოფხვრაში ჩვენ მიწაზე და შინაურ არეულობის გონიერ წინააღმდეგობაში, რადგან უნდა გვახსოვდეს, რომ მხოლოთ მთელის ხალხის მშვიდობიან და მხნე სულიერ განწყობილების დროს შესაძლებელია იმ ჩვენ განზრახულებათა აღსრულება, რომელნიც მიმართულნი არიან ხალხის სულიერ ცხოვრების განახლებისა, მის კეთილდღეობის განმტკიცებისა და სახელმწიფო წესწყობილების გაუმჯობესებისაკენ. შემოკრბენ ჩვენის ტახტის ირგვლივ ყველა რუსები, ერთგულნი სამშობლო ქვეყნის აღთქმებისა, საზრუნავათ ყოველ სახელმწიფო საქმეზე პატიოსნებით, სინდისით და თანახმათ ჩვენის აზრისა და მისცეს უფალმა რუსეთის სახელმწიფოს და მწყემსებს სიწმინდე, მმართველებს—სამართალი და სიმართლე, ხალხს—მშვიდობიანობა და მყუდროება, კანონებს—ძალა და სარწმუნოებას—გაძლიერება ჭეშმარიტ თვით-მპყრობელობის განსამტკიცებლათ და ყველა ჩვენ ერთგულ ქვეშევრდომთა სასიკეთოთ. ბოძებულია ცარსკოე სელოში თებერვლის 18 დღეს დაბადებიდან ქრისტესა 1905 წელს მეფობისა ჩვენისა მეთერთმეტეს“. ნამდვილზე მისის უდიდებულესობის საკუთარის ხელით აწერია: **„ნიკოლოზ“.**

კიდევ ბაქოში მომხდარ ამბების გამო.

კიდევ ერთი სამარცხვინო, კიდევ ერთი საზარელი შემთხვევა! თითქო ჩვენ დაბეჩავებულ, დამდაბლებულ საზოგადოებას კიდევ მეტი შერცხვენა, კიდევ მეტი შეურაცხყოფა და უბედურება ესაჭიროებოდა! თითქო კიშინიოვისა, გომელისა და პეტერბურგში მომხდარ ამბების შემდეგ საჭირო იყო კიდევ უფრო ძლიერი, კიდევ უფრო გამაუბედურებელი შემთხვევა, რომ საზოგადოების შეგნებული ნაწილისთვის კიდევ უფრო საგრძნობელი გამხდარიყო არსებული ბიუროკრატიული წესწყობილების სრულიად გამათახსირებელი მოქმედება! და აი სწორეთ ასეთი უბედურება მოგვევლინა ჩვენ ბაქოში

მომხდარ ორ მოძმე ერთა წარმომადგენლების მიერ ერთურთის ამოჟლეტის, ამოწყვეტის სახით. რა იყო ამ უმაგალითო სისხლის ღვრის, ამ საზარელი და ადამიანის ღირსების შემარცხვენელი ამბის მიზეზი? ვინ გამოიწვია, ან ვინ უწყობდა ხელს მოძმეთა მიერ ერთურთის ამოჟლეტას და განადგურებას? ამას კითხულობს დღეს ყველანი, ამის გამოკვლევას და გამოძიებას ელოდება ყველა მოუთმენელათ. რომ ეს არ გამოუწვევია სომხებსა და თათრებს შორის არსებულ განხეთქილებას, შურისძიებას და მტრობას, ამაში დღეს ყველა დარწმუნებულია. რომ ხალხის სიბნელით და შეუგნებლობით ისარგებლეს ბოროტმა სულებმა, რათა ან სრულიად ჩაეჭროთ და ან რამდენიმეთ მაინც შეესუსტებიათ ის ბრწყინვალე მოძრაობა, რომელმაც ასე თავზარი დასცა გაბატონებულ ბიუროკრატიას, ეს ყველასათვის აშკარაა. ეს კიდევ უფრო აშკარა შეიქნება, თუ რომ ამ ამბების გამო სასტიკი და პირუთვნელი გამოძიება მოხდება. მაგრამ ველირსებით კი ასეთ გამოძიებას? როგორც გაზეთებში წაიკითხავდით, მთავრობამ გამოაცხადა, რომ მოვახდენთ სასტიკ და პირუთვნელ გამოძიებასა და პრესას უფლება ეძნება თავისუფლათ წეროს ამ შემთხვევის შესახებ ყოველივე, რაც სიმართლის გამოსარკვევათ საჭირო იქნებაო. მაგრამ ეს სიტყვები დაპირებაა და მართოდენ დაპირებათ დარჩება ჯერ-ჯერობით მაინც, ვინაიდან, როგორც გაზ. „ბაქოს უწყ.“ შია გამოცხადებული, ბაქოს ვიცე-გუბერნატორს დასახელებულ გაზეთის რედაქტორისათვის უცნობებია, რომ სტატიების: „უბედური დღეები“ და „სად არის მიზეზი“ დაბეჭდვაზე გუბერნატორმა ნება არ დართოვო. იმავე გაზეთში დაბეჭდილია ბაქოს პოლიციმეისტრის წერილი, რომლითაც იგი იცავს ბაქოს პოლიციის მოქმედებას ამ საზარელი დღეების განმავლობაში და იქვე რედაქციის შენიშვნაა მოთავსებული, რომლიდანაც ვტყობილობთ, რომ რედაქციისაგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო იგი მოკლებულია საშუალებას პასუხი გასცეს წერილის ავტორს. გარდა ამისა ვიცე-გუბერნატორს ოფიციალური მიწერილობით მოუთხოვია „ბაქოს უწყებების“ რედაქტორისაგან, რომ ყველა წერილები და შენიშვნები ცენზურაში გაგზავნამდე ბაქოს გუბერნატორს უნდა გაეგზავნოს დაბეჭდვისათვის ნება-დასართველათო. თუ რამდენათ შესაძლებელი იქნება ასეთ პირობებში სიმართლის შეტყობა, ნამდვილი მიზეზის გამოცნობა, ეს თავის თავათ ადვილი გასაგებია.

მაგრამ ჩვენ გვაწუხებს მოვალეობა, რამდენიმეთ მაინც ავხადოთ ფარდა ამ ამბავს, რამდენიმეთ მაინც გამოვარკვიოთ, თუ სად არის სათავე ამგვარ შემთხვევებისა. ჯერ ვიკითხოთ, თუ რა ხასიათისაა ბაქოში მომხდარი შეტაკება და სისხლის ღვრა. იგი წააგავს უფრო ძველ და საშუალო საუკუნოების ამბებს, როცა ორი გადამტერებული ხალხი ერთმანეთს ხოცავდა, და თითონაც არ ესმოდათ—რისთვის. მეორე მხრით ბაქოში მომხდარ ამბავს არაფერი საერთო და მსგავსება არა აქვს იმ შეტაკებასთან და იმ ბრძოლასთან, რომელიც ხდება ორ მოწინააღმდეგე კლასებს შორის, მჩაგვრელთა და დაჩაგრულთა, ბატონებსა და ყმებს, კაპიტალისტებსა და მუშებს შორის. ეს განსხვავება ისეთი საგრძნობელი და დამახასიათებელია, რომ რამდენათ პირველი გვაოცებს და მწუხარებას გვგვრის, იმდენათ მეორე გვამაღლებს და იმედებს გვაძლევს მომავლისათვის. მაგრამ დავანებოთ ამას თავი და ჩვენი ყურადღება მივაპყრათ იმას, თუ რა საშუალებას ხმარობდა ადმინისტრაცია, რა ზომებს იღებდა იგი, რომ სისხლის ღვრა შეეჩერებია. სამწუხაროთ უნდა აღვნიშნოთ, რომ როგორც ერთხმათ მოწმობენ ყველა ისინი, ვისაც შემთხვევა ჰქონდა თავისი თვალით ენახა, რაც ბაქოში და მის მიდამოებში ხდებოდა 6—10 თებერვალს, ბაქოს პოლიცია განზე იდგა და ერთხელაც არ მოუწოდინია და არ მიუღია ზომა, რომ ეს სისხლის ღვრა შეეჩერებია. და განა მას არ ჰქონდა საშუალება დაეფარა და სიკვდილს გადაერჩინა უიარაღო ხალხი? ან შეიძლება ეს მის მოყალეობას არ შეადგენდა? თუ სრულიად მშვიდობიანი მუშების გაფიცვის და ქუჩაზე ხალხის უბრალო პროცესიის გასაფანტავათ პოლიციას ურიცხვი კაზაკები, სალდათები, დრაონიკები, ცხენოსანი გოროდოვები და ჟანდარმები გამოყავს ქუჩებზე, როცა ეს მუშები არცარავის სიცოცხლეს ექადიან და არცარავის ქონებას იკლებენ, თუ ასეთ შემთხვევაში პოლიცია მზათაა ყოველგვარი სასტიკი ზომა მიიღოს და ხშირათ თითონ იწვევს შეტაკებას, რათ მოხდა, რომ თებერვლის 6—10 რიცხვში ყოველივე ეს მოისპო, და ბაქოს უთვალავ ადამიანთა სისხლით შეღებილ ქუჩებში აშკარათ, მის თვალწინ ადამიანებს ხოცავდენ, სახლ-კარს იკლებდენ და ბუგავდენ? რათ არ შეებრძოლა იმ გაბოროტებულ ბრბოს, რომელიც ამ საშინელებას ჩადიოდა რამდენიმე დღის განმავლობაში? რათ არ ჩაერია და არ მოიწადინა ამ სისხლის ღვრის შეჩერება? შეიძლება თავი იმით იმართლონ, რომ კაიც რომ ჩავრეულიყავით, მაინც ვერაფერს გავხდებოდითო. მაგრამ ეს არ არის თავის მართლება. ადმინისტრაციას არც კი უცდია ამ სისხლის ღვრის შეჩერება. სანამ საზოგადოების წევრებმა არ მიიღეს ზომები, იქამდის პოლიცია გულზე ხელ-დაკრეფილი უყურებდა ამ საზარელ ამბებს. რომ საზოგადოების წევრების ერთათ შეკრება და მოლაპარაკება შესაძლებელი ყოფილიყო, გაბოროტებული ხალხის დამშვიდება უფრო ადრეც მოხდებოდა, მაგრამ ჩვენში ხომ საზოგადოება არ არსებობს; საზოგადოება ჩვენში მხოლოთ სიტყვით არის, საქმით, ნამდვილათ კი საზოგადოების წევრები ერთი მეორესაგან დაშორებულია: მათ არ შეუძლიანთ ერთათ შეიკრიბონ, თავის საქმეების შესახებ მსჯელობა იქონიონ. მათ არ შეუძლიანთ შეკავშირდენ, მათ არ შეუძლიანთ თავისუფლათ ილაპარაკონ. ყოველივე ეს მომაკვდინებელი ცოდვაა ბიუროკრატიის წინაშე და ამის დარღვევისათვის ყოველივე წევრი სასტიკათ ისჯება. მაგრამ მეტი ღონე აღარ იყო, სისხლის ღვრა მწვავდებოდა, იმავე დროს პოლიცია არავითარ ზომას არ იღებდა სისხლის ღვრის შესაჩერებლათ.

და აი, როცა საზოგადოების ზოგიერთი წევრები დარწმუნდენ, რომ შველა აღარსაით იყო, თითონ მოინდომეს თავის შველა, შექნეს საჩქაროთ ორგანიზაცია, და მხოლოთ მაშინ მიხვდა პოლიცია, რომ მისი უმოქმედობა ძლიერ შორს წასულა, დანაშაულობამდისაც მიხწეულა, და თითონაც გაერია საქმეში; მაგრამ ხალხის დაშშვიდება მის ხელში აღარ იყო; მან ფაქტიურათ თითონ აიღო ხელი ამაზე, და საზოგადოებამაც ფაქტიურათ მოკიდა ხელი თავის საქმეების მოწესრიგებას. პირველმა განაცხადა: ამას შემდეგ მე აღარ ძალმიძს საზოგადოების პატრონობაო; მეორემ საქმით დაამტკიცა, რომ მას შეუძლია თავისი პატრონობა თითონ იკისროს. პირველის როლი შესრულდა, იმის მოღვაწეობას მხოლოთ ისტორიული მსჯავრი უნდა დაედვას. რა ნაირი იქნება ეს მსჯავრი, ეს არავისთვის საიდუმლოება არ უნდა იყოს. მთელი საუკუნის განმავლობაში ჩვენ გვთელავდენ, ადამიანის პიროვნებას ფეხქვეშ სრესდენ, ერთმანეთიდან გვაცალკევებდენ, ჰაერს გვიხშობდენ, ბნელ ოთახში გვამწყვდევდენ და ჩვენთან სანათლის შუქს არ უშვებდენ. ამას ეძახდენ მართვა-გამგეობას და ხალხის პატრონობას. საზოგადოებას სდევნიდენ, მასში შურსა და მტრობას თესავდენ, რის შედეგი, სხვათა შორის, ბაქოს ისტორიაა. მაგრამ ბოლოს იძულებული შეიქნენ მიმხდარიყვენ, რომ ძველებურათ მოქმედება შეუძლებელია, რომ გავლენას თანდათან კარგავენ, ამიტომ ბნელ საშუალებებისათვის იწყეს მიმართვა. მოინდომეს საზოგადოებრივი მოძრაობის შესუსტება და საზოგადოების ყურადღების სხვა რამეზე მიპყრობა. საზოგადოებას მართლაც არ შეეძლო ამისთვის ყურადღება არ მიექცია, მაგრამ „ბნელ საშუალებათა“ მოტრფიალეთ ბედმა უმტყუნა, მათ განზრახვას სულ სხვა შედეგი მოყვა. საზოგადოება ერთხელ კიდევ უფრო დარწმუნდა ძველ წესწყობილების უვარგისობაში, იგი საქმით მიხვდა, რომ თავის თავს, მხოლოთ მან უნდა გაუწიოს პატრონობა. ეყო რაც ამდენ ხანს ითმენდა, ეყო რაც ამდენ ხანს შეურაცხობას და დამცირებას იტანდა. ჩვენ არა ვართ იმის მომხრე, რომ რაც უფრო უარესი იქნება, მით უფრო უკეთესი იქნებაო,—მაგრამ რას იზამთ, როცა ცხოვრებაში ასე ხდება. რას იზამთ, როცა საზოგადოების უმრავლესობა მხოლოთ დიდი მუშლუგუნის შემდეგ იღვიძებს, მხოლოთ დიდ უბედურებას და გაჭირვებას გამოყავს იგი მოქმედების გზაზე თავისუფლების მოსაპოვებლათ.

მაგრამ ბაქოს ისტორია მხოლოთ ამ მხრით როდია სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყურადღებო და საგულისხმიერო. იგი ჩვენთის კიდევ სხვა მხრით არის არა ნაკლებ საინტერესო და საყურადღებო. ყველამ კარგათ იცის თუ რა როლს თამაშობს ბაქო დღევანდელ მრეწველობაში. ბაქო, როგორც უდიდესი სამრეწველო ცენტრი, ცნობილია არა მარტო ჩვენში, არამედ მთელ დედამიწის ზურგზე. მისი აუარებელი სიმდიდრით, რომელიც რამოდენიმე ათიათას მუშას გამოაქვს იქ მიწის გულიდან, სარგებლობს არა მარტო ადგილობრივი ბურჟუა-კაპიტალისტები, არამედ სხვა ქვეყნისაც. ბაქოში თქვენ იპოვით დღევანდელი უმაღლესი კულტურის წარმომადგენლებს, სამეცნიერო საზოგადოებებს და დაწესებულებებს, მეცნიერების უკანასკნელ გამოგონების გამოყენებას ყოველ ფეხის ნაბიჯზე. დავანებოთ თავი, რომ აქ შრომის უზომოთ ექსპლოატაცია ხდება; დავანებოთ თავი იმას, რომ აქ მეტათ აუტანელ და წარმოუდგენელ პირობებში უხდება კაცს მუშაობა, რომ პირუტყვივით თავი ირჩინოს. ჩვენ მივაქციოთ ყურადღება იმ გარემოებას, რომ აი აქ დაპირდაპირებია ერთმანეთს ორი კულტურა: ერთი მხრით უმაღლესი კულტურა თავისი განვითარებული ტეხნიკით, ორთქლის და ელექტრონის ძალის გამოყენებით ყოველ ფეხის ნაბიჯზე, მეცნიერებით, ნასწავლებით, ექიმებით, ინჟინრებით, ვექილებით,—და მეორე მხრით თითქმის ძველი, საშუალო საუკუნოების დროინდელი განუვითარებელი კულტურა. ორივეს კულტურა ერთათ თვისდება, ერთათ განაგრძობენ თავის არსებობას, თითქო არც კი ამჩნევენ ერთმანეთს. აქამდის ყველას ეგონა, რომ ამაში არავითარი უხერხულობა არ არის, ერთი მეორესათვის. დღეს კი დამტკიცდა, რომ ასეთი ფიქრი ყოველგვარ მოსაზრებას მოკლებულია. საქმე ის არის, რომ ბურჟუაზიამ შეძლო მხოლოთ უზარ-მაზარ სიმდიდრის შეძენა მუშა ხალხის გაყვლეფით, შეძლო უმაღლესი ტეხნიკის შექმნა მეცნიერების დახმარებით, მაგრამ ვერ შეძლო კულტურის გავრცელება ხალხში. ამიტომ ყალბია ის საფუძველი, რომელზედაც დაყრდნობილია მთელი ბურჟუაზიული წესწყობილება და მოშავალი მხოლოთ იმ კლასს ეკუთვნის, რომელიც დღეს იბრძვის ამ წესწყობილების დასანგრევათ და საზოგადოების სულ ახალ საფუძველზე მოწყობას.

ფ. მახარაძე.

გურიის ვითარების შესახებ.

ამ დღეებში გურიაში გენერალ ალიხანოვ-ავარსკის უფროსობით გაიგზავნა რამდენიმე ათასი ჯარის-კაცი, არტილერია და სამგზავრო სამხედრო ლაზარეთი. ნატანების სადგურზე უკვე მივიდა გრენადერთა არტილერიის ნაწილი სამი აფიცრით, ასი კაზაკი და რამდენიმე ზარბაზანი. იქვე ჩასულა განჯის პოლკის ექვსი როტა და პლასტუნების მთელი პოლკი. გენერალ ალიხანოვს განსაკუთრებული უფლებები ჰქონდა მინიჭებული, რაც საჭიროა ომიანობის დროს. ამ ამბავმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოების ზოგიერთ ნაწილზე. ყველა დაფიქრდა, რომ გურიას დიდი განსაცდელი მოელისო. ამიტომ საჭიროთ შეიქმნა დეპუტაცია სხვადასხვა საზოგადოებრივ დაწესებულებათა და პრესის წარმომადგენელთაგან, რომელშიაც მოყვენ: თფილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლი თ-დი მელიქიშვილი, ქუთაისის თავ.-აზნაურთა წინამძღოლის მოადგილე თ-დი ნიჟარაძე, თფილ. გუბერნიის მაზრების მარშლები, ბათომის ქალაქის მოურავი ანდრონიკაშვილი, ქუთაისის ქალაქის თავის მოადგილე გველესიანი, გურიის მცხოვრებნი თ. ნ. თავდგირიძე და მ. თუმანიშვილი, ჟურნალ „მოგზაურის“ რედაქტ. მაგიერი კ. ჯაფარიძე და „ცნ. ფ-ლის“ რედაქტორი ჯაბადარი. ეს დეპუტაცია უნდა მისულიყო მთავარმართებლის თანამდებობის აღმასრულებელ გენ. მალამასთან და ეშუამდგომლა: გურიაში გაგზავნილ ჯარების უკან დაბრუნება; ნება მიეცეს გურულ ხალხს ყრილობების მოხდენის თავის საჭიროებათა გამოსარკვევათ და თავის მიერ ამორჩეულ დეპუტატების საშუალებით ეს საჭიროებანი მთავრობას გააგებინოს; დაცულ იქნას ამ დეპუტატების სრული ხელუხლებლობა. გარდა ამისა ხსენებულ დეპუტაციას უნდა ეშუამდგომლა: მთავრობის წარმომადგენლათ გურიაში გაიგზავნოს მთავარ მართებლის საბჭოს წევრი ბ-ნი სულტან კრიმ-გირეი და ამასთანავე ნება მიეცეს ადგილობრივ პრესასა თავისუფალი მსჯელობა იქონიოს გურიის საქმეების შესახებ. დეპუტაცია მავიდა მთავარმართებლის მოადგილესთან 16 თებერვალს, ხოლო ავათმყოფობის გამო გენ. მალამამ მიიღო მხოლოთ თ დი მელიქიშვილი, კ. ჯაფარიძე და მ. თუმანიშვილი, დანარჩენმა წევრებმა მსჯელობა იქონიეს მთავარმართებლის კანცელარიის დირექტორთან, ტროფიმოვთან. პასუხი ყველა ამ შუამდგომლობათა შესახებ დეპუტაციამ მიიღო მეორე დღეს, 17 თებერვალს. მთავრობამ შეიწყნარა თითქმის ყველა შუამდგომლობა, სახელდობ: ჯარი თვით გურიაში აღარ გაიგზავნება, არამედ ნატანების სადგურზე დარჩება. მთავრობის წარმომადგენლათ გურიაში გაიგზავნება ბ-ნი სულთან კრიმ-გირეი, ცნობილი თავისი მაღალ კაცთმოყვარული, ჰუმანიური აზროვნებით. გურულ ხალხს ნება ეძლევა თავისუფლათ შეიკრიბოს თავის საჭიროებათა გამოსარკვევათ; გარდა ამისა კრიმ-გირეისთან მოსალაპარაკებლათ იმათ უნდა აირჩიონ დეპუტატები, რომლებისთვის პიროვნების ხელუხლებლობა სასტიკათ დაცული იქნება. ამასთანავე ადგილობრივ პრესას საშუალება ეძლევა თავისუფალი მსჯელობა იქონიოს გურიის დღევანდელ ვითარების შესახებ, იმ პირობით კი, რომ ეს მსჯელობა ლეგალურ საზღვარს არ გადაცდეს. 17 თებერვალს ბ-ნი კრიმ-გირეი უკვე გაემგზავრა გურიაში.

ამნაირათ ამიერიდან შეძლება ეძლევა, როგორც გურულ ხალხს, ისე მწერლობას ფარდა ახადოს ყოველივე იმას, რაც ეს რამდენიმე ხანია გურიაში ხდება. ყველა უნდა ეცადოს რაც შეიძლება ამ მძიმე საქმეში მეტი წინდახედულობა და გამჭრიახობა გამოიჩინონ, ვინაიდან ამას მარტო გურიისთვის როდი აქვს მნიშვნელობა. სრული წარმატება უსურვოთ ამ ფრიად დიდ-მნიშვნელოვან საქმეს.

სხვა და სხვა ამბები.

11 თებერვალს პეტერბურგში მინისტრთა კომიტეტმა განიხილა ის საკითხი, რომელიც აღნიშნულია 12 დეკემბრის ბრძანების მე-5 მუხლში. ამ მუხლით ნაბრძანებია იმ განსაკუთრებულ კანონმდებლობათა გადასინჯვა, რომელიც გამოიცა საზოგადოებრივ მშვიდობიანობის დარღვევის შესახებ. კომიტეტმა განიხილა 1881 წლიდან დღემდე მომხდარი ამბები და ცნო, რომ მთავრობის მეცადინეობამ ამბოხებათა და უწესოებათა ჩაქრობის საქმეში მაინცა და მაინც სასურველი ნაყოფი ვერ გამოიღო. კომიტეტმა სასურველათ და საკეთილოთ ვერ იცნო ზოგიერთი დადგენილება და დებულება სახელმწიფო მშვიდობიანობის და წეს-რიგის დაცვის შესახებ. საქმის დაწვრილებით განხილვის შემდეგ კომიტეტმა გამოთქვა: 1. იმ კანონების გადასასინჯავათ, რომლებიც შეეხება სახელმწიფო მშვიდობიანობის და წეს-რიგის დასაცველ ზომებს და აგეთვე საპოლიციო ზედამხედველობას, შედგეს განსაკუთრებული საბჭო უმაღლესი ბრძანებით დანიშნულ კაცის თავმჯდომარეობით. ამ საბჭოში მონაწილეობა უნდა მიიღონ საშინაო საქმეთა და იუსტიციის მინისტრებმა, დასახელებულ უწყებათა სხვა უმაღლესმა მოხელეებმა და სხვა უწყების წარმომადგენელებმა, რომლების მოწვევაც სასარგებლო იქნება; 2. ხსენებულ საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მიერ შემუშავებული კანონ-პროექტი უნდა შეიტანოს პირდარირ სახელმწიფო საბჭოში სხვა უწყებათა მიერ განუხილველათ.

თფილისის გაზეთებში დაბეჭდილია პეტერბურგიდან მიღებული ცნობა, რომ კავკასიაში უქმდება მთავარმართებლის თანამდებობა და არსდება „ნამესტნიკობა“. ნამესტნიკათ უკვე დაუნიშნავთ სასახლის მინისტრათ ნამყოფი გრაფი ვორანცოვ-დაშკოვი.

კავკასიის მთავარმართებლის ¡ოადგილემ გენ. მალამამ გამოსცა სჳ¡დებულ¤ დ¤გენილებ¤ იარაღის ტარების და ვაჭრობისა და აგრეთვე ყრილობების გამართვის შესახებ ქალ. ქუთაისში და მაზრებში: ქუთაისის, სენაკის და ოზურგეთის.

---

14 თებერვალს დილით ქუთაისში ყველა სასწავლებლები დაკეტილი იყო. დემონსტრაცია დაიწყეს საბაღოსნო სასწავლებლის შეგირდებმა, რომლებიც ქალაქისაკენ გამოემართენ. ამათ მიეგებენ გიმნაზიელები და რეალისტები. მაღაზიები დაკეტილი იყო. ქალების გიმნაზიის მოწაფეები თვით გიმნაზიის შენობაში ჩაკეტეს და გარეთ არ უშვებდენ. საღამო ჟამს მოხდა შეტაკება ხალხსა და კაზაკებს შორის ბულვარის მახლობლათ. მოკლულია სამი და დაჭრილი ხუთი.

---

17 თებერვალს, 1-ლ საათზე, ქუთაისში გაასვენეს 14 თებერვალს დემონსტრაციის დროს მოკლული ნოქრები: თევდორაძე და ბოკერია. გასვენებას ათი ათასზე მეტი ხალხი დაესწრო. წარმოითქვა რამდენიმე დროს შესაფერი სიტყვა.

ბათომის გიმნაზიის დაკეტვის გამო თფილისში მთავარმართებლის მოადგილესთან წარსადგენათ დეპუტაცია ამოვიდა ბათომის ქალაქის თავის მეთაურობით. დეპუტაციამ იშუამდგომლა, რომ დაკეტილი გიმნაზია ისევ გაიხსნასო. მთავარმართებლის მოადგილემ აღუთქვა, განკარგულებას მოვახდენ, რომ ამ დღეებშივე დაიწყოს სწავლა გიმნაზიაშიო. გარდა ამისა გენ. მალამამ განაცხადა, რომ უწესოებაში მონაწილეობის მიღებისათვის, გარდა ერთი მოსწავლის ზ—ისა, არავინ არ დაისჯება,—იხ. კი პასუხისგებაში იქნება მიცემულიო.

ადგილობრივ გაზეთებში დაბეჭდილი იყო, რომ 15 თებერვალს სწავლა შეწყდა თფილისის სასულიერო სემინარიაშიო. ეს ამბავი ნახევრათაა მხოლოთ მართალი, ვინაიდან სწავლისთვის თავი დაუნებებია შეგირდების უმრავლესობას, უმცირესობა კი ისევ განაგრძობს სწავლას. უმრავლესობის სწავლისთვის თავის დანებების მიზეზი ის ყოფილა, რომ იმათ სემინარიის მთავრობისათვის თავიანთი მოთხოვნანი წარუდგენიათ, და რადგანაც სემინარიის მთავრობას უარი უთქვამს იმათ დაკმაყოფილებაზე, ამიტომ შეგირდებს თავი დაუნებებიათ სწავლისთვის. მოთხოვნილებები თითქმის ყველანი სემინარიის შინაურ ცხოვრებას შეეხება და იმაში არ არის არც ერთი ისეთი მოთხოვნა, რაც სხვა ადგილობრივ საშუალო სასწავლებელში იყო წამოყენებული.

თფილისის ქალების საეპარქიო სასწავლებელში სწავლა უკვე ორ კვირაზე მეტია რაც შეწყვეტილაი.

ამას წინეთ საზოგადოებაში ხმა გავრცელდა, რომ ვითომც ამ უკანასკნელ ხანებში აჭარლებსა და გურულებს შორის უთანხმოება და მტრობა ჩამოვარდნილიყოსო. ახლა გამოირკვა, რომ ეს ტყუილი ყოფილა. მართალია, აჭარაში ყოფილა მოძრაობა, მაგრამ ეს მოძრაობა იმავე ხასიათისაა, როგორც გურიაში.

ქუთაისიდან წერენ ადგილობრივ გაზეთებს: ქალაქის საბჭომ და ადგილობრივმა ექიმებმა გუბერნატორს პროტესტი განუცხადეს ყაზახების თავგასულობის გამო 14 თებერვალს მომხდარ უწესოების დროს; მოითხოვეს მოსპობა ყაზახთა დარაჯობისა ქუჩებში და დაუყონებლივ საქმის გამოძიება. გადაწყვიტეს, დაზარალებულთ იურიდიული და ქონებრივი დახმარება აღმოუჩინონ. გუბერნატორი დაპირდა შესაფერ განკარგულების მოვახდენო.

განჯის ვაჟთა გიმნაზიაშიაც მოსწავლეებმა სწავლა შეწყვიტეს ორი დღით. პედაგოგიურმა კრებამ, რომელზედაც იყვენ მიწვეულნი აგრეთვე მშობლებიც, დააკმაყოფილა ყოველივე, რასაც მოსწავლენი თხოულობდენ. ეს მოთხოვნანი უმთავრესათ შეეხებოდა გიმნაზიის შინაურ ცხოვრებას. სხვათა შორის მოსწავლეებს აღუთქვეს იშუამდგომლონ ადგილობრივ ენების სწავლების შემოღებაც. სწავლა შეწყვეტილი იყო აგრეთვე ქალთა გიმნაზიაშიაც, მაგრამ მათ ვერ მიახწიეს სახწადელს. სახელოსნო და სამოქალაქო სასწავლებლებში დღესაც არ არის სწავლა.

---

15 თებერვალს ამიერ-კავკასიის რკინის გზის სახელოსნოებში მუშაობის დროს მოუკლავთ ვაგონების ამქრის ხელოსანი კრავჩენკო. მკლელი ვერ აღმოუჩენიათ.

ამერი-კავკასიის რკინის გზის მუშებმა 16 თებერვალს 10 საათზე თავი გაანებეს მუშაობას, შეთროვდენ თავიანთ კანტორის წინ და მოითხოვეს, რომ მათთან მოსულიყო რკინის გზის უფროსი ივანოვსკი. როდესაც ბ-ნი ივანოვსკი მოვიდა, მუშებმა წარუდგინეს ქაღალდი, სადაც 16 სხვადასხვა მოთხოვნილება იყო აღნიშნული, სხვათა შორის, 8 საათის მუშაობა. რკინის გზის უფროსი დაპირდა, რომ ამ ცოტა ხანში შეგატყობინებთ პასუხსაო. ამ ლაპარაკის შემდეგ მუშები დაიშალენ.

---

10 თებერვალს ქ. ქუთაისში სამოსამართლო პალატის სესსიამ ბ-ნ ზავადცკის თავმჯდომარეობით განიხილა **პოლიტიკური საქმე**. ბრალსა დებდენ შორაპონის მაზრის მცხოვრებს, სემინარიელს ერმალო მერკვილაძესა და ზუგდიდის მაზრის მცხოვრებს, მუშას გ. აშორდიას. 11 თებერვალს იმავე სესსიამ გაარჩია კიდევ ერთი პოლიტიკური საქმე. ბრალდებულთა სკამზე ისხდნენ ქუთაისის მაზრის, ს. ჯაგანის მცხოვრები გიორგი თელია, გურიიდან ლანჩხუთელი ნიკო ჩხეიძე და გორის მაზრიდან, ს. ძვილეთის მცხოვრები ვასო ტაბლაშვილი.

ყველა ამათ ბრალდებოდათ საიდუმლო სტამბის შენახვა და გადატანა. ითითოეული იმათგანი ორ-ორი წლის განმავლობაში ისხდენ ციხეში. აშორდია და მერკვილაძე ჯანდრებს დაუჭერიათ 1903 წ. მაისში სადგ. რიონზე, ხოლო დანარჩენები იმავე წლის ენკენისთვეში ბათუმის სადგურზე.

დამცველებათ იყვნენ ქ. ტფილისიდან ჩამოსულები ლ. ხომენტკოვსკი და ივ. ზურაბიშვილი. მერკვილაძე და აშორდია უდანაშაულოთ იცნო სასამართლომ და მათ სრლ ტყუილა-უბრალოთ გაუტარებიათ ორი წელიწადი ჯიხეში. დანარჩენი სამი პირი დამნაშავეთ იცნეს და გადაუწყვიტეს სასჯელათ: თელიას ერთი წელიწადი და ოთხი თვე ციხე, ჩხეიძეს ცხრა თვე და ტიბლაშვილს კიდევ ოთხი თვე. უმთავრეს მოწმეებათ იყვენ თვით ჟანდარმები, რომელთაც მეტათ აებნათ ჩვენება.

რედაქციისაგან: რადგანაც ჩვენ ხშირათ გვთხოვენ როგორც სიტყვიერათ, ისე წერილებით, გავუგზავნოთ ბ-ნ ტ. ართმელაძის თხზულება, სახელდობ: „ბრძოლა ჩვენს პრესასა და საზოგადოებაში“ და სხ., ამისთვის ვალდებულათ ვთლით თავის თავს განვაცხადოთ, რომ **„მოგზაურის“** ახალ რედაქციას არაფერი საერთო არა აქვს არც ამ წიგნაკთან და არც მის გამომცემელთან.—ზოგიერთმა მკითხველებმა პირადათ გვისაყვედურეს, რომ ცნობები მუშების გაფიცვის შესახებ კავკასიის სხვა-და-სხვა დაბა-ქალაქებში, რომლებიც ჩვენ გვქონდა დაბეჭდილი, სიმართლეს მოკლებული და გადამახინჯებული იყო. ამიტომ რედაქცია იძულებულია გამოაცხადოს, რომ ყველა ეს ცნობები ოფიციალურია, და ჩვენ მხოლოთ იმ სახით შეგვიძლია ასეთ ცნობების დაბეჭდა, რა სახითაც ისინი გამოქვეყნებულია ოფიციალურ გაზეთ „კავკასში“.

რუსეთის ქრონიკა

პუტილოვის ქარხნის მუშებმა, ადმინისტრაციის ნებართვით ირჩიეს თავიანთი დეპუტატები, რომელთაც 9 თებერვალს შემდეგი მოთხოვნანი წარუდგინეს ქარხნის დირექტორს:

1. დეპუტატების და მათ კანდიდატების პიროვნების ხელუხლებლობა ქარხნის ადმინისტრაციის მხრივ.
2. დეპუტატების შეკრება უნდა შეიძლებოდეს ყოველ დროს.
3. 8 საათის სამუშაო დღე.
4. მიეცეს მუშებს საშუალო ჰირა გაფიცულ დღეებში.
5. მოისპოს ჯარიმები გაშვებულ დღეებისათვის.
6. ექიმების პერსონალს მოემატოს; ექიმებს დაევალოთ ხრდილობიანი მოკვლევა მუშებთან.
7. საექიმო დახმარება სახლში, მუშების ბინაზე;
8. საავათმყოფოში უთუოთ იქნეს სამშობიარო განყოფილება.
9. იმ კომისიაში, რომელმაც უნდა გამოიძიოს მუშების დასახიჩრების საქმე, უნდა იქნენ მუშების წარმომადგენლებიც.
10. სახელოსნოები პერიოდულათ უნდა ინახულოს ექიმმა.
11. უბრალო მუშა ქალებს იღებდეთ დღეში 70 კ., კაცებს 1 მან.
12. განთავისუფლებულ იქნენ ჩინით არჩეული დეპუტატები.
13. ძველ მუშების შემწეობა და დაარსება ემერიტალური კასსისა.
14. მოსპობა ზედ-მეტ მუშაობისა, გარდა სარემონტო მუშაობისა, რომლისთვისაც ორკეცი ფასი უნდა იქნეს.
15. სკოლების პროგრამის გადართოვება და უფასო სწავლა მუშის შვილებისთვის და სხვა.

ქარხნის დირექტორმა სმირნოვმა მიიღო დეპუტატები და თანხმობა გამოაცხადა უმეტეს მოთხოვნილებების მიღებაზე, გარდა ორისა: 8 საათის სამუშაო დღეს ვერ შემოიღებს და ვერც გაფიცვის დღეების ქირას მოგეცემთო.

პეტერბურგის „დითონის ქარხნებში“ ზოგი რამ გაუმჯობესება შეუტანიათ: სამოც საათის მუშაობის მაგიერ კვირაში შემოიღეს $57^1/_2$; ზედ-მეტი მუშაობა რვის მაგიერ ექვსია; შრომის ფასსაც მოუმატეს ტოტა; 65 კაპეიკის მაგიერ 80 კ. 75 კაპ. მაგიერ —90 და 85-ის მაგიერ მანეთი. მიუხედავათ ამისა, 8 თებერვალს მუშებმა შეწყვიტეს მუშაობა, რადგან ქარხნის გამგეობამ კატეგორიულათ უარი თქვა ერთ ნახევრათ გადიდებიათ სამუშაო ჭირა.

პეტერბურგის ბარიკადხერების უკანასკნელ კრებაზე შეიმუშავეს შემდეგი მოთხოვნანი: სამუშაო დღე 10 საათი, აქედან ერთი საათი სადილისა და დასვენებისათვის; ზამთრობით უქმე დღეებში 5 საათი მუშაობა; ადდგომისა და შობის ბირველ დღეებში სრულიად არ უნდა იქნეს მუშაობა; ზაფხულობით უველა უქმე დღეები თავისუფლდეს; ჯამაგირის მაგიერ უნდა შემოღებულ იქნეს საბრალტნო დაჯილდოვება შრომისა (სახელოსნოს შემოსავლის მიხედვით).

კრებამ შეატყობინა ეს დადგენილებანი საბარიკადხეროების ბატრონებს და თან შეუთვალა: თუ ეს მოთხოვნანი არ მიგეღიათ, უველა თავს განებებთ მუშაობას და საზოგადოების წინაშეც თქვენ იქნებით ბასუხის მგებელნი.

✦ პეტერბურგის თვბრიკა—ქარხნების ბატრონები ამას წინეთ შეიკრიბენ და თვინსთა მინისტრს გადასცეს შემდეგი განცხადება: როგორც ჩანს მუშების მღელვარების მთავრობა ეწერს მხოლოთ იმითი ეკონომიურ მდგომარეობის. მაგრამ ეს შეცდომაა.

სავსებითაც რომ დაკმაყოფილონ მუშები, მაშინაც შეუძლებელია ჩამოვარდეს ნამდვილი მშვიდობიანობა, რადგან მუშების მოძრაობა ატყდა იმიტომ-კი არა, რომ მათ აწუხებს ეკონომიური გაჭირვება. მოძრაობის წყარო არის ის ბირობები რომლებიც კარს არტყია მუშას. მუშების დაკმაყოფილება და დათმობით მათი დამშვიდება შეუძლებელია, რადგან ირგვლივ უველაფერი მღელვარებს. მთავრობამ დღეს იცის, რომ უკმაყოფილება მოდებულია რუსეთის საზოგადოების უველა წრეებში: ბრესასა, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა, ქ უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტებითა და ბროფესორებით. ერთი სიტყვით, დაკვდებულია ცენტრალური ორგანოები, დაკვდებულია მთელი ორგანიზმი, და ეს საბუთია იმისი, რომ სტიქიკარს დრმა და სერიოზული საერთო მიზეზი აქვს. თუ მუშების მღელვარება საგანგებო უურადღებას იქცევს, ეს იმიტომ, რომ ერთბაშათ დიდი ხალხი იღებს მონაწილეობას მოძრაობაში და ეს მოძრაობაც უფრო ძლიერია; მღელვარება კი უველგან არის და რაც დრო მიდის, უფრო და უფრო ძლიერდება. არ შეიძლება იმის ადუნიშვნელობაც, რომ ადმინისტრაციის ჩარევა საქმეში კიდევ უფრო ამწვავებს საქმეს... 26 იანვრის სხდომაზე თვინსთა მინისტრმა გამოთქვა სურვილი, რომ ბატრონები, საკანონმდებლო მუშაობის დაწეებამდე, შეუდგნენ საერთო დანიშნულებათა შემუშავებას მუშათა მოთხოვნების შესახებ; მაგრამ მექარხნეები და თვბრიკანტები იმ აზრის არიან, რომ ამ გზით მუშების დამშვიდება შეუძლებელია, თუნდა მთელი სათბრიკო კანონმდებლობა შეიცვალოს. ერთ-ერთი ნამდვილი საშუალება მუშების მოძრაობის დამშვიდებისა მომავალში უფრო დრმა, სახელმწიფო ხასიათის რეფორმებია („რ. ვ.“).

✦ „რუს. დელო“-ში შარავოვის წერილია დაბეჭდილი იმის შესახებ თუ როგორ აწუხებდენ მოსკოვში მუშების საქმენი. ამ საქმის სული და გული იყო ზუბატოვი, მოსკოვის ობერ-პოლიცმეისტერის „დამცველ განყოფილების“ (охранного отделения—საგანგებო სიღუმლო პოლიცია პეტერბურგს და მოსკოვში) უფროსი. ზუბატოვმა მოაწყო თვბრიკებსა და ქარხნებში სხვადასხვა კავშირები მუშებისა და ხშირათ კაფიცვასა და დემონსტრაციების რეპეტიციებსაც მართავდა. მაგალითათ, გუმონისა და დანილოვსკის სამანუფაქტურო თვბრიკებში ხელოვნურათ გამოიწვია არეულობა და კამრათა უზარმაზარი დემონსტრაცია: 50 ათასი მუშა მივიდა ადექსანდრე მეორის ძეგლთან და გვირგვინით შეამკო. თვბრიკანტებს შორის ამ ამბავმა დიდი შიში გამოწვია, რადგან არა ესმოდათ-რა ამ „მაღალ პოლიტიკისა“. ზუბატოვის ეს რეპეტიციები და თვითონ ზუბატოვის პიროვნებაც მეტათ საეჭვო გახდა. ამასთან ქალაქისა და საგუბერნიო მმართველობის ტაქტიკა სულ სხვადასხვა იყო: იმ დროს, როცა ზუბატოვი გზავნიდა ემისრებს ქალაქის და გუბერნიის თვბრიკა-ქარხნებში მუშების ორგანიზაციებისა და გაფიცვების სარეპეტიციოთ, მოსკოვის უოფილ გუბერნატორის—ბლა საშინახ საქმეთა მინისტრის ბულიგინის განკარგულებით იჭერდენ ამ ემისრებს და უგზავნიდენ ობერ-პოლიცმეისტერს. აქ მათ დაუოხებლივ ანთავისუფლებდენ და ისევ ახალ ექსკურსიებზე გზავნიდენ, სანამ საბოლოო მართლა სულ აკრძალა არ შეიქნა და ზუბატოვი მოსკოვიდან არ წაიყვანეს. მაშინვე მიწყნარდა მთელი ეს საოცარი მოქმედება და წესიერებაც დამყარდა. თითქმის იგივე განმეორდა პეტერბურგში, სადაც ზუბატოვის საქმე მოაწონა და დალოცა ისეთმა გამოცდილმა ადმინისტრატორმა, როგორიც განსვენებული ბლეგე იყო. („რ. ვედ.“).

✦ დნეპრის ქარხნებში 4 თებერვალს მუშათა კაფიცვა უწინდებურის ძალით განახლებულა. ქარხნების გამგეთა ბასუხს, ამ დღეს გამოცხადებულს, ვერ დაუკმაყოფილებია მუშები. ქარხნებში და მის მიდამოებში უოველ გვარი სიცოცხლის ნიშანწყალი გამოქრა და დამ-დამუობით ქარხნებს და სხვა შენობებს მხოლოთ მთვარის სინათლე-და აშუქებდა, რადგან ელექტრონის მაშინების მუშებმა თავი მიანებეს მუშაობას. აგრეთვე უარი განაცხადეს მუშაობაზე ამ მუშებმაც, რომელნიც წლისუვანზე მუშაობდენ. მუშები თხოულობდენ ხელფასის გადიდებას 20%-ით, ოთხშაბათს მუშათა ჯამაგირის ნახევარს და სხვ. მმართველებმა უარი განაცხადეს ამ მოთხოვნილებებზე. მუშაობა ჯერაც არ წეებულა („ბრიდნ. კრაი“).

✦ როგორც გაზ. „ბრიდნ. კრაი“ იუწუებს, 7 თებერვალს ეკატერინოსლავში უველა უმთავრესი მადნიების ნაჭრებს გაფიცვა მოუხდენიათ. გაკრობა შეწუვეტილა; გაკრებს დაუკმაყოფილებიათ ზოგიერთი მოთხოვნილებები და გაფიცვაც გათავებულა.

ომის ამბები.

გრიპენბერგის დამარცხების შემდეგ ბრძოლის ველზე კარგა ხანს შესანიშნავი ამბავი თითქმის არ მომხდარა. ეს უკა-

ნასწელი იერიში რუსის მხედრობისა დიდ კამათს იწვევს რუსის საზოგადოებაში. ბევრი ამართლებს გენ. გრიპენბერგის საქციელს, ბევრი კი კიცხავს. გენერალი გრიპენბერგი უკან დაბრუნდა სამხედრო ასპარეზიდან და თავისი უკმაყოფილება განაცხადა უმაღლესი მთავრობის წინაშე მანჯურიის ჯარის მთავარ სარდალზე.

ამ ბოლო ხანებში კი ისევ განახლდა ბრძოლა თითქმის მთელ ფრონტზე. ცნობილმა გენ. კუროკიმ კვლავ გამოილაშქრა წინ და აიღო გამაგრებული პოზიცია ცინხენჩენი, ჩვენმა ჯარმა უკან დაიხია. რასაკვირველია, გარდა აღნიშნული თვალსაჩინო შეტაკებისა მოხდა მრავალი წვრილ შეჯახებაც, რომლებშიაც მუდამ იაპონელნი იმარჯვებენ.

უფრო მეტი ყურადღება კი იაპონელთა თარეშმა მიიპყრო. როგორც ტელეგრამებიდან ჩანს, იაპონელთა რაზმები მუკდენსა და ხარბინს შუა უნახავთ და ცხადია, რომ რუსების ჯარს გზის მოჭრით ემუქრებიან. ამავე რაიონში განაახლეს მოქმედება ხუნხუზებმაც. ბოლო ხანების ტელეგრამებში წერია: მუკდენის ჩრდილოეთით, ე. ი. იმ მხრით, საითაც რუსის ჯარმა უნდა დაიხიოს, ხუნხუზებმა რკინის გზა დაანგრიეს რამოდენიმე ვერსის მანძილზე და ხიდიც გააფუჭესო. გზის შეკეთება უთუოთ რამდენიმე კვირას მოითხოვს და ამ ხნის განმავლობაში რუსის ჯარი შეიძლება დიდ განსაცდელში ჩავარდესო. უკანასკნელ ტელეგრამებში წერია, რომ პუტილოვის გორაკს იაპონელებმა თავიანთი საშიშარი თერთმეტ დიუმიანი ზარბაზნები დაუშინეს და კორიანტელი აადინესო. ერთი სიტყვით მოახლოებულია დღე საშინელის განსაცდელისა. ადარავისთვის საეჭვო არ არის, რომ რუსის მხედრობა საშიშ მდგომარეობაში არის ჩავარდნილი. მთელი ქვეყანა დარწმუნდა, რომ ჩვენთვის გამარჯვებაზე ფიქრი ყოველ საფუძველს მოკლებული ოცნებაა, ვერ მიმხდარან ამას მხოლოთ ისინი, ვისთვისაც უკულმართ ბედს ომის წინამძღრობა ურგუნებია. ამიტომ არის რომ ზავის ჩამოგდებაზე კრინტი არ იძვრის და დახოცილ მეომართა რიცხვს თითქმის ყოველ დღე ასი და ათასი ახალი ემატება, ხოლო დაობლებულთა რიცხვი კიდევ უფრო იზრდება და იზრდება.

ნ ა წ უ ვ ე ტ ი.

ღამეა უკუნეთისა,
ვერა რას ხედავს თვალები,
ცის მნათობთ შემოხვევიან
ჯოჯოხეთისა ძალები;
კლდე მიმალულა წყვდიადში,
თანვე ყავს თავის მცველები:
ტარტაროზები, ქაჯები,
ჯოჯოები და გველები.
დაფუსფუსებენ კლდის ძირში,
შხამსა არწყევენ პირითა,
სურთ, რომ მოწამლონ ზღვის სივრცე,
ტალღები ძლიონ იმითა!..
ზღვა კი ქუხს, გრგვინავს, გრიალებს,
ცას წვდება ზვირთთა ქუხილი,
შავ ძალებს კლდეზე ახეთქებს
იმის სრბოლა და დუუილი!..

გ. გოგოლაძე.

თაგუნას ლექსი.

ჩემო მკითხველო თაგუნიავ! მე ბარემ მჯერა, რომ არ შეფერის თაგვს-წრუწუნას ლექსების წერა, მარა ამ ჟამათ სხვა დრო დადგა—დრო უცნაური; ჩვენ სათაგვეთში ყველამ შექმნა აურ-ზაური და მეც, თაგუნამ, ჩვენ ძველთა წესს თათები ვკარი: ლექსათ ავაწყვე საწრუწუნოთ მორთული ქნარი.

გეცოდინება უეჭველათ შენ, თაგუნია, რომ დიდი არის ეს ქვეყანა,—ჩვენი დუნია; რომ მაზე ცხოვრობს თაგვთა ტომი სხვადასხვა გვარი; პირველი ჩვენ ვართ,—იატაკთა ქვეშ ბინადარი. ჩვენ ჩვენი შრომით ვიკვებებით, ჩვენივე ხელით და საშმელ ლუკმას სხვის პირიდან როდი მოველით. მეორე კიდევ მინდვრის თაგვი—ღვიძლი ძმა ჩვენი, მრავალ-ტანჯული, მაგრამ მასთან მრავალ-მომთმენი. და მესამე კი, თუმც თაგვია თაგვისა გვარი, საერთო ჩვენ და იმათ შორის არა რა არი. ჯერ გარეგნობით: ის თეთრია, როგორც ბუმბული, ჩვენ კი—შავები, გარუჯული და გამურული; გარდა ამისა იგი რგვალი და მსუქანია, ჩვენ კი, ხომ იცი, ძვლებზე გვაკრავს შავი კანია. ახლა, არ მკითხავ, რა ასუქებს და რა ამრგვალებს? თითონც მიხვდები, თუ გაახელ პაწია თვალებს: როცა ჩვენა და ჩვენი ძმები—მინდვრის თაგვები წელზე ფეხს ვიდგამთ, რომ ვიპოვოთ სარჩო-საკვები, ის თეთრი თაგვი, მუსმუსელა, უქმი ცბიერი, თუმც თათს არ ანძრევს, არ გეგონოს იყოს მშიერი! იქნებ ქალაქში ან და სხვაგან მოკარ თვალია, კაცებს რომ დააქვთ საკრავები და თან გალია; იმ გალიაში თაგვები ყავთ დამწყვდეულია, თეთრი თაგვები, გაწვრთნილი და გაჩვეულია. მათ უბრძანებენ, ყირამალა გადაბრუნდითო, ჯოხზე შესკუპდით, დაიკიდეთ დაბლა კუდითო; დაუყონებლივ ასრულებენ მხდალნი ბრძანებას: თვის ნებათ რაცხენ ბატონების სურვილს და ნებას. და ბატონებიც ულიმიან, ეფერებიან, თავზე ხელს უსმენ, ალერსითა თავს ევლებიან. თვით ბილწი კატა, სისხლის მსმელი ჩვენი მტერია, თეთრი თაგვების მეტის-მეტი მადლიერია.

ჩვენ, თაგუნიავ, უწინამც დღე დაგვბნელებია, სანამ მათსავით შევიქნებით მლიქვნელებია, სანამ ცბიერი, საძაგელი ჩხავანა კატა დავიმეგობროთ, მისი დღეი შენ შეგემატა!

ახლა, როგორც ვთქვი, სათაგვეთში ხმაი გავრცელდა, შეგვიშინდაო ბერი კატა, ეცაო ელდა, და ჩვენც თაგვები, კატის მტრები, მტერს შევეყარეთ, მედგრათ ვეკვეთეთ იერიშით, სისხლი დავღვარეთ და კატის ძალა კვლავ შევმუსრეთ და შევამცირეთ და მეგობრები ჩხავანასი ვაცრემლ-ვატირეთ.

თეთრი თაგვები განზე იდგენ განცვიფრებული; შიშით უცემდათ უსუსური და მხდალი გული. და გაიფიქრეს: „ცუდათ არის კატის საქმეო. თეთრო თაგუნავ, ის თუ მოკლეს რაღას აქნევო?!“ და გადაწყვიტეს, რომ გამართონ თეთრ თაგვთა კრება, იქ შეამცირონ ცოტაოდნათ კატის უფლება—„ასეთი ხერხით შეიძლება კატაც გადარჩეს და თეთრ თაგვებსაც მოედანი და ბურთი დარჩეს“.

ახლა ხომ მიხვდი; კრების აზრი მეტათ ცხადია: მათ სურთ არ დაწვან არც შამფური და არც მწვადია.

ასეთი კრება ჩვენშიც იყო გამართულია; კატის ნებართვით, რა თქმა უნდა, არ ფარულია. კრებაზე რაღაც მანქანებით გავჩნდით შავები—ოცი თუ მეტი, აღარ მახსოვს, ნურც მედავები. ჩვენი შეხედვა თეთრ თაგუნებს არ ეჭაშნიკათ; ყველა ქვემოდან გვიცქეროდა, მწყრალათ, სასტიკათ. მათ აირჩიეს თავმჯდომარეთ ყბედი-თაგუნა. იგი წამოდგა, ჯერ ფეხები დაიბაკუნა, მიმოიხედა მერე ირგვლივ, თავი დაღუნა, სიტყვა თქვა თითონ და შემდეგ კი სხვებსაც არგუნა. ჩვენ იქ ვიყავით, მოვისმინეთ რეზოლიუცია (რომელიც იმათ დღემდისაც არ გადაუცია) და სასეიროთ, სამასხაროთ, ყბათ ასაღებათ, „აცხა, აცხაო“ დავიძახეთ...

ენა დაებათ; ის ყბედი-თაგვი შიშისაგან ავათაც გახდა. „კატის შესახებ არ-რა თქვათო“ ყველა იძახდა და განჩინებას ვინღა უგდო შიშით ყურია! ასე გათავდა თაგვთა კრება უცნაურია.

ჩემო თაგუნა, გავათავე ჩემი სათქმელი და ახლა პასუხს, ახალ ამბებს შენგან მოველი. ლექსათ მოგწერე ეს ბარათი, ვიცი ცუდია; ნუ გამიწყრები, შემოგეველოს ჩემი კუდია!

თაგუნა.

რა არის პარტია.

როგორც ვიცით, საზოგადოება დაყოფილია მრავალ პარტიებათ, რომელთა შორის გამწვავებული ბრძოლაა უფროსობისათვის. თვითეული მათგანი მიილტვის მომხრეები გაიმრავლოს, გამძლავრდეს და ქვეყნის მეთაურობა ხელში ჩაიგდოს. აი ეს მათი ბრძოლა, შეჯახ-შემოჯახება და დამორჩილება-გაბატონება შეადგენს ძარღვს თანამედროვე პოლიტიკური ცხოვრებისას. ამ ომში ერთი პარტია სამუდამოთ მარცხდება და ველიდან იდევნება, მეორე ბატონდება და დანარჩენთ იმორჩილებს, მესამე თანდათან ღონიერდება, იზრდება და მომავალისაკენ იმედით იხედება.

რატომ ერთი პარტია სუსტდება და მეორე დიდდება? რა ძირითად კანონს ექვემდებარება პარტიის გაზრდა და განვითარება; საიდან ღებულობს ის თავის ცხოველ-მყოფელ ძალას და რანაირ ორგანიზაციაში იხატება? ყველა ამის გასაგებათ საჭიროა ვიცოდეთ, თუ რა არის პარტია.

ადამიანთა იმ კრებულს, რომელიც ისახავს საერთო მიზანს და მის განსახორციელებლათ ერთათ მოქმედებს, ეწოდება პარტია. მაშასადამე, პარტიის დამახასიათებელი თვისება საერთო მიზანი და საერთო მოქმედება. ხოლო მოქმედება კი არ შეიძლება უპლანოთ, უსისტემოთ, უორგანიზაციოთ. ორგანიზაცია—ეს ის ბოძია, რომელზედაც დაყრდნობილია პარტია. შეიძლება მას არ ჰქონდეს მკაფიოთ გამორკვეული პროგრამა, დაწვრილებით შემუშავებული ტაქტიკა, ეს კიდევ ვერ შეაჩერებს მის მოღვაწეობას; მაგრამ თუ მას რაიმე ორგანიზაცია არ აქვს, თუ ის მოქმედების ორგანოს მოკლებულია—მას არსებობა ერთ დღესაც არ შეუძლია.

მიზანი. რამდენათ პარტიის მიზანი ზერელე და წარმავალია, იმდენათ მისი სიცოცხლე ხანმოკლე და უფერულია. და პირიქით, როცა მიზანი ღრმა და რთულია, როცა ის საზოგადოების დედა-ძარღვს ეხება და მის მიმდინარეობას ხატავს, მისი მიმდევარი პარტიაც მეტათ დიდ და საყურადღებო ძალას წარმოადგენს. ამ მიმდინარეობის განვითარებასთან ერთათ ვითარდება თვით პარტია, ამარცხებს ძველი, მობერებული ურთიერთობის დამცველთ და ბოლოს სამუდამოთ იმარჯვებს. ცხადია, პარტიის გამძლავრება თუ დაუძლურება, გამარჯვება თუ დამარცხება მჭიდროთ შეკავშირებულია თვით ცხოვრების მსვლელობასთან. თუ ის დრო-გადასულ და მავნებელ წყობილებას ემსახურება, თუ მისი მიზანი საზოგადოების უკან დამწევი ან შემაჩერებელია—მას დიდი სასიცოცხლო დრო არ აქვს და აღრე თუ გვიან უნდა გაქრეს. გაქრა ევროპაში ყველა ის პარტია, რომელიც თავთმპყრობელობას ეტრფიალებოდა და მისი გატეხილი ძალის აღდგენას ეძებდა. და აი, ახლა თანდათან ტყდება ბურჟუაზიული პარტიების ძლიერება და გზას უთმობს მედგარ მუშათა პარტიას... ამნაირათ, ყოველ ისტორიულ ხანაში მერმისი ეკუთვნის იმ პარტიას, რომლის მიზანია ახალი დაბადებული კლასის დაცვა, მისთვის გზის გაკაფვა და მეთაურობის გაწევა. ფეოდალურ ხანაში ასეთი კლასი იყო ბურჟუაზია, დღეს კი პროლეტარიატია. პირველის პოლიტიკურ პარტიას შეიცავენ ლიბერალები, მეორისას სოციალ-დემოკრატები.

ვისგან, რომელი კლასის წევრებისაგან შედგება პარტია? რაკი ერთი რომელიმე პარტია ემსახურება ერთ რომელიმე კლასს, ცხადია, მას ამ კლასის მოწინავე პირები უნდა შეადგენდენ. ფეოდალთა პარტია შედგება ფეოდალებისაგან, ბურჟუაზიული—ბურჟუებისაგან და მუშათა პარტია მუშებისაგან. შეიძლება ერთი კლასის ზოგი წევრი გადავიდეს მეორე კლასის პარტიაში, მაგრამ ესენი აქ უბრალო დამხმარე, სტუმრებია და ვერასოდეს ვერ დაიჭერენ მასპინძელთა ალაგს. დიდი რევოლიუციის დროს საფრანგეთის ბურჟუაზიას მიემხრენ ბევრი ხუცები და აზნაურები, მაგრამ ეს იყო უბრალო მიმხრობა, ბურჟუაზიის თვალთახედვის ისარის შეთვისება და არა ბურჟუაზიის თავისკენ მომხრობა და მისთვის თავისი შეხედულობების თავზე მოხვევა. თვითეული კლასი თავისი ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობით წარმოშობს თავის განმათავისუფლებელ საშუალებებს, თვით ის ქმნის ნიადაგს თავისი იდეიური მოძრაობისათვის და იწყებს მოძრაობას. და აი, როცა ეს მოძრაობა ძლიერდება, ფესვებს იდგამს და ფართოვდება, მაშინ სხვა კლასებიდან მრავალი მისკენ გადადის და მის ფერხულში დგება. ავიღოთ მაგალ. გერმანიის მუშათა პარტია. ამ ათი წლის წინეთ მისი მიმხრობა დიდათ სათაკილო იყო არა-მუშისათვის. თითით უჩვენებდენ იმ ინტელიგენტებზე, რომელნიც მასში შედიოდენ და მონაწილეობას იღებდენ. პარტიის უღელში ერთიანათ მუშები იყვენ გაბმულნი და ისინი ეწოდენ. მაგრამ როცა ამათი მუშაობით და თავის დადებით პარტია გაიზარდა და ერთ უდიდეს პარტიათ გადაიქცა—მაშინ ის ყველასათვის სამაგალითო და სანატრელი გახდა. იქ შესვლა და მუშაობა შეიქნა არა სათაკილო, არამედ სასახელო და საპატიო. და აი, ბურჟუაზიიდან გადადიან მრავალი ინტელიგენტები და პარტიას ავსებენ. აქ ახლა ბევრია ექიმი, ადვოკატი, მწერალი, მასწავლებელი—ერთი სიტყვით, ყოველნაირი პროფესიის ხალხი. ამათ თან გადმოიტანეს თავისი კლასის—ბურჟუაზიის—პსიხოლოგია და დაუწყეს პროლეტარიატის რევოლიუციურ პროგრამას კრიტიკა. ბერნშტეინის მომხრეები უმთავრესათ ესენია. აი ასეთი სახიფათოა პოლიტიკური პარტიისათვის სხვა კლასის, ხალხის მიღება და თავისი საქმეების ჩაბარება. ეს სახიფათო არ არის მხოლოთ მაშინ, როცა პარტია საკმაოთ ღონიერია გარეშე ელემენტების გადასახალისებლათ და თავის არსებაში გასათქვეფათ. დრეზდენის კონგრესზე გერმანიის შეგნებულმა პროლეტარიატმა ბერნშტეინის მიმდევარ ინტელიგენტებს გაკიცხვა გამოუცხადა და მით დაამტკიცა, რომ ის უკვე მომწიფებულია თავისი საქმეების საწარმოებლათ და გარედან შემოსული მომხმარეების თავის მხედველობის ქვეშ დასაყენებლათ. ის თავის პარტიას ფხიზელ დარაჯათ უდგას და თავ-გამოდებით ებრძვის როგორც გარეშე მტერთ, ისე შინაგან მოწინააღმდეგეთ და წყლის ამრევთ. მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ პარტია ახალ ფეხ-ადგმულია, ის ჯერ კიდევ ჩვილი და განუვითარებელია. აი აქ გარეშე ელემენტების შემოსევა დიდათ საშიშარია. ისინი აქ უბრალო დახმარებით კი აღარ კმაყოფილდებიან, პირიქით, თავის თავს აცხადებენ პარტიის უფროსათ, მის ერთათ ერთ მხსნელათ და თხოულობენ სხვების მორჩილებას. იმათ, ვისაც პარტიის საქმეები პირდაპირ ეხება, ვინც პარტიის მთავარ ძალას შეადგენს, თითქმის აღარაფერს ეკითხებიან და ყოველივეს თვითონ თავის ქეიფისამებრ განაგებენ. და რომ ეს თავისი ქცევა გაამართლონ, ხშირათ ახალ თეორიებსაც იგონებენ, როგორც მაგალ. მუშა-ხალხი თავისი ძალ-ღონით ვერ შეითვისებს მაღალ იდეალებს, ის კუჭის კითხვას, მანათზე შაურის მომატებას ვერ გაცილდება, ის მხოლოთ დღიურ ინტერესებს ხედავს და საბოლოო მიზნისაკენ არ იხედებაო და სხ. მაშ ვის შეუძლია ყველა ეს შეიგნოს და ამათ შეაგნებინოს? ვის და ინტელიგენტებსო—ამბობენ ისინი და ამით ერთი დაკვრით თავის თავს მუშათა პარტიის მეთაურათ აცხადებენ, ხოლო თვით მუშებს უბრალო მასალათ

და მათ ამყოლათ. ახლდება დიდი ხნის მიცვალებული აზროვნება გმირის და ბრბოს შესახებ. პარტიის ეს ორიოდე მეთაური გმირია, ხოლო პარტიის დანარჩენნი წევრნი კი ბრბო, რომელიც პირველთ ხმა-ამოუღებლივ უნდა მისდევდეს.

თავის თავათ ცხადია, რომ როცა ასეთი შერევა ხდება, როცა ერთი კლასის პარტიაში მეორე კლასის პირები ბატონდებიან, თვით პარტიის მიზანიც ირყვნება და ილახება. ხშირათ რაც პირველისათვის საყურადღებოა, მეორესათვის უმნიშვნელოა და ამიტომ იბადება კონფლიკტი და უკმაყოფილება. „ბრბოს“, რასაკვირველია, უფრო სოციალური კითხვა იტაცებს, ხოლო „გმირებს“ პოლიტიკური და რადგანაც უკანასკნელნი ბატონობენ—ბატონდება მისი ცალმხრივი მისწრაფება, იწყება ეკონომიური კითხვების დამცირება, უყურადღებობა და ამით კლასის პარტიისაგან დაშორება: მოსულთა დევნა, დამხდურთა მისწრაფება, და ასე კლასის პარტია იქცევა ორივე ინტელიგენტთა პარტიათ, რაც იწვევს წინააღმდეგობას და ბრძოლას. ინტელიგენტთა უმრავლესობას, რასაკვირველია, მოსწონს თავისი გაბატონება და „უმრავლესობის“ სახელით იწყებს პარტიაში თარეშობას. უმცირესობა ებრძვის პარტიის ასეთ გადაუკუღმართებას და „უმცირესობის“ სახელით მიმართავს თვით კლასის მოწინავე ნაწილს მსჯავრის დასადებათ. და აი, როცა ეს უკანასკნელი იგებს, როგორ ბუქნას თამაშობენ მის ზურგზე და მისი სახელით—თვითონ ერევა თავის პარტიის შინაგან საქმეებში და ბატონობის მოტრფიალეთ უცხადებს: ჩვენ ერთის ბატონობას იმიტომ კი არ ვებრძვით, რომ მეორენი გავიბატონოთ, ჩვენი ბატონი ჩვენვე უნდა ვიყოთ და ვიქნებით კიდეცო...

ორგანიზაცია. როგორც ზევით ვთქვით, პარტია არის თავისუფალი კრებული ერთნაირ მოაზრე ადამიანთა. პარტიაში კაცი შედის არა ვისმესი ძალ-დატანებით და ბრძანებით, არამედ რწმენით და დაჯერებით. მაშასადამე, წევრთა შესაძენათ პარტიის ერთათ ერთი ფარ-ხმალია პროპაგანდა და აგიტაცია (როგორც წერით, ისე სიტყვით). რაკი ვინმე პარტიაში შემოვიდა და მისი მიზანი თავის მიზნათ გამოაცხადა—ის ისეთივე წევრათ ხდება, როგორიცაა ყველა დანარჩენი. აქ წევრთა უფლების სრული თანასწორობაა. ვერც ერთი პარტია ვერ გამძლავრდება, თუ კი ის თავის წევრთ ყოფს ორათ: ერთს ანიჭებს უფროსობას და მეორეს მორჩილებას, ვინაიდან ეს უკანასკნელნი შორდებიან მას და „სარდლებს უჯაროთ“ ტოვებენ. ამიტომ არის, რომ ევროპაში ყველა პარტია, დაწყებული კონსერვატორულით და გათავებული სოციალ-დემოკრატიულით, თავის ორგანიზაციის საფუძვლათ ერთ და იმავე პრინციპს აღიარებენ: წევრთა უფლების თანასწორობას, ე. ი. პარტიის ყველა წევრი პირდაპირ თუ არჩეულ წარმომადგენელთა საშუალებით განაგებენ პარტიის ყველა საქმეებს. ეს არის დემოკრატიული ორგანიზაცია. ბევრს გონია, რომ დემოკრატიზმი ეწინააღმდეგება ცენტრალიზმს. ეს სრული შეცდომაა. გერმანიის მუშათა პარტია ცენტრალისტურათ არის მოწყობილი, მაგრამ იმავე დროს დემოკრატიულათაც არის. აქ ყველა ორგანიზაცია, როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი თუ საკავშირო კომიტეტები არჩეულია. რასაკვირველია, არჩევნები ყოველნაირ პოლიტიკურ პირობებში სავსებით ვერ გატარდება, მაგალ. იქ, სადაც პოლიტიკური მოღვაწეობა აკრძალულია, პარტიის ორგანიზაციათა არჩევნებით შედგენა გასაჭირია. მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ის უთუოთ უარყოფილი უნდა იქმნას და დემოკრატიზმი მომაკვდინებელ ცოდვათ გამოცხადდეს. პირიქით, იდეალი ეს არის და თუ მისი განხორციელება შესაძლებელია ისე, რომ პარტიას არ აზარალოს—კიდევ უკეთესი. მხოლოთ ის ცენტრალისტიური ორგანიზაციაა მკვიდრი, რომელიც დემოკრატიულ წყობილებაზეა აგებული.

თუმცა ყველა ეს პოლიტიკური სიბრძნის ანბანია, მაგრამ მოინახებიან ისეთი პირები, რომელნიც ამას უარყოფენ და მის დასარღვევათ ოფლსა ღვრიან. ვინ არიან ესენი? რასაკვირველია „გმირები“, ბატონობის და მარტოობის მოტრფიალენი. როგორც ზევით მოვიხსენიეთ, პარტიას ერთათ ერთ მხსნელათ და მეთაურათ იმათ თავის თავი გამოყავთ. ყველა დანარჩენნი ბრბოა, მასალაა, რომელსაც ყურს იქით გამოაბამენ, საითკენაც სურთ. მაშასადამე, ესენი პარტიის მეორე ხარისხოვანი წევრებია და საჭიროებენ პირველ ხარისხოვანთა აპეკუნობას. ესენი ბავშებია, უწლოვანებია და, როგორც ამ ნაირნი, სრულ წლოვანთა საპატრონებელია. ამიტომაც უფბითაც თანასწორნი არ არიან. „ბრბოს“ ტვირთათ აწევს თითქმის ყველა მოვალეობა, ხოლო „გმირთ“ თითქმის ყველა უფლება. ესენი იყრებიან, პარტიის შესახებ ბჭობენ, ადგენენ მის წესდებას, ორგანიზაციას—ერთი სიტყვით განაგებენ როგორც სურთ, „ბრბოს“ დაუკითხავათ და შეუტყობლათ. და როცა ეს უენონიც ენას ამოიდგამენ და თავის საქმეების ამბავს იკითხავენ—მაშინვე მიცვივიან და დატუქსავენ: ეს სულ „ბუნტოვჩიკების“ ბრალია, საჭიროა მათი ორგანიზაციიდან განდევნა და ხალხის პირვანდელ ბალა-ალობაში ჩაბრუნებაო. და ამას მოითხოვენ იცით რისთვის? პარტიული დისციპლინისათვის! მათთვის დისციპლინა მაგარი ბზის ჯოხია, რომელიც ყოველ წუთს მზათ უნდა იყოს წევრთა ზურგზე გადასატარებლათ. მართალია თვითონ არავითარ დისციპლინას არ ექვემდებარებიან, პარტიიდანაც კი დაუსჯელათ გამოდიან, ერთიმეორეს ახეთქებენ და ყველაფერს რევენ, მაგრამ ეს იმიტომ, რომ ისინი, როგორც „გმირები“ „ბრბოს“ კანონებს არ ექვემდებარებიან. დისციპლინა „ბრბოს“, უდისციპლინობა „გმირებსო“, მიიმღერიან ისინი. ეს ბატონური პოლიტიკა, რასაკვირველია, „უმრავლესობის“ სახელით საღდება, ვინაიდან ინტელიგენციის უმრავლესობას ბატონობა უფრო მოსწონს, მისი ბურჟუაზიული პსიხოლოგია ვერ ურიგდება „ბრბოს“ გამთანასწორებელ პსიხოლოგიას და მასთან ბრძოლაშია. ამ ბრძოლის იარაღია არა დაჯერება და მოლაპარაკება, არამედ ბრძანება და ძალ-მომრეობა. მათი აზრით, პარტია სახელმწიფოა, სადაც ყოველივე ბიუროკრატიულათ და იერარქიულათ კეთდება და საქმის წარმოება ბრძანება-მორჩილებაზე შენდება. იმათ აქამდის ვერ გაიგეს ის უბრალო ჭეშმარიტება, რომ ყოველივე პარტია ნებაყოფლობაზეა აგებული და თუ შიგ ძალადობა და ჩინოვნიკობა გამეფდა—დაიშლება. და აი, ესენი ამ დაშლას და დარღვევას გულმოდგინეთ ემსახურებიან. ისინი ქადაგობენ „не смѣть свое сужденіе имѣть“, ხოლო ამის საშუალებათ раскасированіе-ს აღიარებენ. საბედნიეროთ ამ დამრღვევთ და ამრევთ წინ ელობება ოპოზიცია და „უმცირესობის“ სახელით მიმართავს ნამდვილ პარტიას, თვით შეგნებულ მასას მსჯავრის დასადებათ. და როცა ეს იგებს ორგანიზაციის კანცელარიათ გადაქცევას და იგემებს მათრახთა ქნევას—მაშინ თვით ერევა თავის საქმეში და მსჯავრი გამოაქვს. ხმა ერისა—ხმა ღვთისაო. მაგრამ „გმირები“ რის „გმირები“ არიან, რომ ეს იწამონ და მას დაეთანხმონ. მათ ურჩევნიათ მარტოთ დარჩენა, თავისი საკუთარი „მოძრაობა“ დაიწყონ, ვინემ „ბრბოს“ დაეთანხმონ და მისი თვალთა ხედვის ისარი შეითვისონ...

ამ გვარათ, პარტიის ძირითადი თვისებებია: საერთო პროგრამა, ტაქტიკა და ორგანიზაცია. მის მთავარ შემადგენელ ნაწილს და ბატონ-პატრონს უნდა შეადგენდეს ის კლასი, რომლის ინტერესებს ის ემსახურება, ხოლო მისი ორგანიზაცია უნდა ექვემდებარებოდეს დემოკრატიულ პრინციპს (რამ-

დენათაც შეიძლება) და პარტიული დისციპლინა უნდა მყარდებოდეს არა ძალით და ბრძანებით, არამედ რწმენით, დაჯერებით და სხვა მორალური ზომებით. მხოლოთ ამ წესით აგებული პარტიაა ცხოველ მყოფელი, უძლეველი და მერმისის მქონებელი. მხოლოთ მას შეუძლია სწრაფათ განვითარდეს, მთელი თავისი კლასი თან გაიყოლოს, სხვა უკმაყოფილო ელემენტებიც მოიმხროს და მტერზე იერიშით მივიდეს.

ან.

კვირიდან კვირამდე.

ექვს თებერვალს დაიწყო ის საზარელი ამბავი, რომელსაც „ბაქოს ამბებს“ ეძახიან და თერთმეტს გათავდა. თითქმის ერთი კვირაც არ გაგრძელებულა, მარა თავისი შემზარავი სახით, აუწერელი სისასტიკით და მხეცური გრძნობების გამოაშკარავებით მას ბადალი არა ყავს ჩვენი ცხოვრების თანამედროვე ისტორიაში. ის არ იყო ომი ერთი სახელმწიფოსი მეორესთან, ის არ იყო ბრძოლა ჩაგრული ხალხისა მჩაგვრელთა წინააღმდეგ რაიმე უფლების მოსაპოებლათ. ის იყო მხოლოთ ქლეტა, ქლეტა ქალთა-და კაცთა, ყრმათა და მოხუცთა. მას არ უჭანს არავითარი მიზეზი, არავითარი ყურადღების ღირსი საბუთი, რომელსაც უნდა დაებნელებია გონება ადამიანისა, რომელსაც უნდა აეგზნო ხალხში სისხლის წყურვილი, რომელსაც უნდა მიეყვანა ორი მეზობელი და ერთს ტაფაში მომწყვდეული ერი ასეთ საზარელ საქმემდე. ბაქოს მცხოვრებლებმა საშინელი დრო განიცადეს. ცოცხალი, მხიარული ქალაქი უცებ ჯოჯოხეთათ იქცა. „მე არ შემიძლია აგიწერო ის საზარელი სურათი, რომელსაც საკუთარი თვალით ვხედავ, არ შემიძლია თუნდა მცირეთ გაგრძნობიო ის, რასაც ჩემი გული გრძნობს“, იწერებიან ისინი, ვისაც თავისი თვალით უნახავს ეს მართლაც შემზარავი სურათი გამხეცებულ ბრბოთა სისასტიკისა მე სრულიად ვეთანხმები იმათ სიტყვას, მწამს რომ იმათთვის, ვისაც თავისი თვალით არ უნახავს, ბაქოს საშინელი ამბები მიუწდომელი და წარმოუდგენელი უნდა იყოს.

* * *

აგრეთვე მიუწდომელი და წარმოუდგენელი უნდა იყოს ბევრისათვის ის საკვირველი მოვლენაც, რომ ბაქოს პოლიცია, თითქმის მთელი ამ ექვსი დღის განმავლობაში „ნეტრალიტეტს“ იცავდა. ან კი ვითომ როგორ უნდა მოქცეულიყო, როგორც სომხები, ისე თათრებიც ერთი და იმავე სახელმწიფოს ქვეშევრდომნი არიან და თავისთავათ ცხადია, რომ როდესაც ისინი ერთმანეთს ქლეტენ, წესიერების დამცველთ რაღა დარჩენიათ გარდა „ნეიტრალიტეტის“ დაცვისა. ამიტომ იყო, რომ გამხეცებული ბრბო თავისუფლათ დათარეშობდა იმ ქუჩებზე, რომლებიც მშვიდობიან დროს დვორნიკებითა და გოროდოვოებით არის სამსე. ბაქოში კი პოლიციის ინტერესებს თითქმის არავინ შეხებია.

* * *

პოლიციის „ნეიტრალიტეტი“ რაღაცა ყურს ეცხოება და უჩვეულოთ მიმაჩნია, მაგრამ ვინ იცის, იქნება სიცრუეც იყოს. ჩვენ ამ შემთხვევაში ვხელმძღვანელობთ მხოლოთ კორესპოდენტთა წერილებით და ერთი იმათგანი აი რას ამბობს: „თითქმის ყველა თათარი დიდიდან პატარამდე ბებუებითა და რევოლვერებით იყვნენ შეიარაღებულნი. ბევრ მათგანს „სახელმწიფო“ რევოლვერი ეშოვა.—საიდანგან და როგორ ძნელი გასაგებია. („თბ. ფურ.“)

ეჰ, მამა ცხონებულო! ტყვილათ თავს ვატყუებთ, თორემ არაფერი აქ ძნელი გასაგები არ არის და ასში ოთხმოცდა ათმა მაინც იცის საიდან იშოვეს თათრებმა რევოლვერები და ბერდანკები! დიახ, საზოგადოებამ იცის მიზეზი და მიზანი ამ საზარელი ამბისა, იცის და თავის დროზე პასუხსაც მოსთხოვს იმის მოქმედთ.

* * *

მართლაც მთელი ქვეყანა მოწადინებულია გაიგოს ნამდვილი მიზეზი ამ სამწუხარო მოვლენისა და თხოულობენ საქმე „სასამართლოს“ გადაეცეს. დიახ, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ სასამართლო გაარჩევს ბაქოს ამბებს, გაარჩევს ისე, როგორც გომელისა და კიშინიოვის საქმეები გაარჩია. მეც შევუერთებ ჩემს ხმას საზოგადო სურვილს, რომელიც მდგომარეობს ამ ბნელით მოცული საქმის გამორკვევაში.

ძნელია ამ დიდიბულ დროს ასეთი საზარელი ამბის წარმოდგენა, გარეშე რაიმე წამქეზებელი მიზეზისა და მაშ განათლდეს, ყველასათვის ცხადი შეიქნეს ეს მიზეზი, რომ შემდეგში მაინც აღარ გამეორდეს ასეთი საზარელი ამბავი.

* * *

ჯერიგო არ იქნება მკითხველი საზოგადოებისათვის ისიც გამოირკვეს თუ რას ნიშნავს ეს გაუთავებელი განცხადება, რომელიც „ივერიის“ შუბლზე გაჩერებულა და გაიძახის: „გამოდის, გამოდის, გამოდისო“. თუმცა ეს ქალაქური ხერხია მარა ის რაღას ნიშნავს „ჩვენგან დამოუკიდებელის მიზეზისა გამო ჯერ ისევ ძველი ფორმატისა გამოდისო“! ფრაზა „ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო“ საზოგადოებას სხვაგვარათ ეს მის, ვიდრე განახლებული ივერიის დაგვიანებას შეეხება. ახლა, როგორც ცნობის ფურცელში წავიკითხეთ ეს „რედაქციისაგან დამოუკიდებელი“ მიზეზიც მოისპო, ე.. ი. გაზეთს რედაქტორი დაუმტკიცეს და იმედია ამდენი „გამოდის-გამოდის“ შემდეგ განახლებული „ივერია“ უთუოთ გამოვა. გამოვიდა კიდეც. დანარჩენი შემდეგ.

* * *

ავათ თუ კარგათ განახლებული „ივერია“ გამოვდია, მარა თედო ჟორდანიას საქმე როგორ წავა ეს კი აღარ ვიცი. ეს სახელი უთუოთ ბევრს მკითხველთაგანს გაუგონია და გვარი მით უმეტეს. თედო ჟორდანია ქართველი ისტორიკოსი იყო და როგორც ისტორიკოსი ჩვენი სამშობლოს სიძველეთ იკვლევდა. აი სწორეთ ამ კვლევა-ძიების დროს აღმოაჩინა თურმე, რომ მეგრელები კუნძულ ბორნეოდან არიან გადმოსახლებულნი და ქართველ-ტომის ხალხთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვთო. ეს აზრი მას შემდეგ უფრო მაგრათ ჩაუჯდა ჩვენს ისტორიკოსს თავში, რაც რომ ქუთაისის გუბერნიის სამრევლო სკოლების ზედამხედველათ დაინიშნა. ეჰ სამსახურო, სამსახურო!

* * *

და სწორეთ სამართლიანათ მოთქვამს ბ-ნი დავით ბაქრაძე გაზეთი „რუსის“ ფურცლებზე, რომ „აღარ გვყავს ჩვენი (ქართველი) გუბერნატორები, გენერალ-გუბერნატორები, ოლქის სასამართლოს და სამოსამართლო პალატის თავმჯდომარეები, მთავარ მართებლის სამსჯავროს და სახელმწიფო საბჭოს წევრები“! გვესმის, გვესმის, რომ მხოლოთ ამით ვართ უბედურნი, რომ არა გვყავს ქართველი გენერალ-გუბერნატორები. საბედნიეროთ ხომ ხშირია ქართველი მაზრის უფროსები, ქართველი ბოქაულები, ქართველი გოროდოვოები, ქართველი სტრაჟნიკები და ქართველი დვორნიკები.

ამათგან დამოკიდებული „ნაციონალური“ მფარველობაც ეყოფა ქართველ ერს. უთუოთ ცას დაეწეოდა ბ-ნი დავით ბაქრაძე, პეტერბურგის გენერალ-გუბერნატორი რომ ქართველი ყოფილიყო. ვინ იცის მაშინ რამდენი მეტი პატივი ექნებოდა ჩვენ ნაციას განათლებულ ევროპიელთ თვალში. მარა რას იზამ, ნატვრაც არის და ნატვრაც! მე ასე შორს ვერ წავალ და ნატვრაშიაც ამდენ უნარს ვერ გამოკიჩენ; ამიტომ ამით მარტო ბაქრაძეს შეუძლია პირი აიმჟავოს და ნერწყვი ულაპოს.

* * *

თუმცა ბაქრაძე გულ-გატეხილია ქართველი ხალხის აწმყო მდგომარეობაზე, მარა ერთით შიუძლია ინუგეშოს თავი. სახელდობ იმით რომ სამხედრო უწყებაში ჩვენც ბევრი წარჩინებული პირი გვყავს და თუ ერთ მათგანს მოქალაქეობრივმა ვაჟკაცობამ ულალატა, რომ შვიდ თებერვალს ქალაქის საბჭოში აღძრული ბაასი მუშათა შესახებ ბოლომდი მოესმინა და სხდომიდან წავიდა, ეს ყველაზე არ შეიძლება ითქვას. მეორე გენერალმა გაბედა დარჩენა და მოისმინა კიდევაც ყველაფერი, მარა დახე უბედობას, ის გენერალი სომეხი აღმოჩნდა. შეიძლება აქ ქართული ანდაზით ხელმძღვანეობდნენ: საცა არა ჯობს, გაცლა ჯობს კარგისა მამაცისაგანო, მით უფრო ჩკუასან ახლოა ეს, რომ სომხებს არ უნდა ჰქონდეთ ამგვარი ანდაზა.

ეშმაკი.

პაწია შენიშვნა დიდ კითხვაზე.

რა არის პარტია? ამ კითხვაზე ამავე ნომერში მოთავსებული სტატიის ავტორი უპასუხებს: „ადამიანთა იმ კრებულს, რომელიც ისახავს საერთო მიზანს და მის განსახორციელებლათ ერთათ მოქმედებს, ეწოდება პარტია. მაშასადამე, პარტიის დამახასიათებელი თვისებაა საერთო მიზანი და საერთო მოქმედება. ხოლო მოქმედება კი არ შეიძლება უპლანოთ, უსისტემოთ, უორგანიზაციოთ. ორგანიზაცია ეს ის ბოძია, რომელზედაც დაყრდნობილია პარტია. შეიძლება მას არ ჰქონდეს მკაფიოთ გამორკვეული პროგრამა, დაწვრილებით შემუშავებული ტაქტიკა, ეს კიდევ ვერ შეაჩერებს მის მოღვაწეობას; მაგრამ თუ მას რაიმე ორგანიზაცია არა აქვს, თუ ის მოქმედების ორგანოს მოკლებულია—მას არსებობა ერთ დღესაც არ შეუძლია“. როგორც ხედავთ, ავტორის აზრით, პარტიის არსებობისათვის უმთავრესათ საჭიროა ორგანიზაცია და მოქმედების ორგანო (ეს ხომ იგივე ორგანიზაციაა?!), ხოლო ამისთვის აუცილებელ საჭიროებას არ წარმოადგენდეს მკაფიოთ გამორკვეული პროგრამა, დაწვრილებით შემუშავებული ტაქტიკა, „ეს კიდევ ვერ შეაჩერებს მის მოღვაწეობას“. „პარტიის დამახასიათებელი თვისებაა საერთო მიზანი და საერთო მოქმედება“. შევჩერდეთ და შევეკითხოთ ავტორს: პარტიაა განა პირუტყვების დამფარველი საზოგადოება, რომელსაც „საერთო მიზანიც აქვს და მის განსახორციელებლათ ერთადაც მოქმედებს“? პარტიაა წიგნების გამომცემელი საზოგადოება, რომელსაც საერთო მიზანი დაუსახავს და ამ მიზნის შესაფერი მოქმედების ორგანოც მოუწყვია? ავტორის განმარტებით, პირველიც და მეორეც პარტიაა, პირველსაც და მეორესაც ახასიათებს „საერთო მიზანი და საერთო მოქმედება“. ცხადია ასეთ პარტიაზე არ უნდა გველაპარაკოს ავტორს, ხოლო მისი მეტათ „მარტივი“ განმარტება ასეთ „პარტიებს“ გვიყენებს თვალწინ. „შეიძლება მას (პარტიას) არ ქონდეს მკაფიოთ გამორკვეული პროგრამა, დაწვრილებით შემუშავებული ტაქტიკა, ეს კიდევ ვერ შეაჩერებს მის მოღვაწეობასო“, გვარწმუნებს ავტორი და გვარწმუნებს მაშინ, როცა სწორეთ გარკვეული პროგრამა და დაწვრილებით შემუშავებული ტაქტიკაა საჭირო ნამდვილი პარტიის შესაქმნელათ, „საერთო მიზნის მისაღწევათ და საერთო მოქმედებისათვის“. რა არის ორგანიზაცია? ერთი გარკვეული პროგრამისა და ამ პროგრამის განსახორციელებლათ შემუშავებული წესების ცხოვრებაში გასატარებლათ შეერთებული პირები. მოქმედების ორგანო, მაშინ, როცა მოქმედების მიზანი (პროგრამა) ნათლათ გამორკვეული არ არის, როცა მომქმედთ ვერ გაუკვლევიათ, თუ რა წესით უფრო ადვილათ, პირდაპირ ნაკლები მსხვერპლით მიაღწევენ დასასრულ მიზანს, მაშინ მოქმედების ორგანო უვარგისია და ასეთი ორგანო არ შეიძლება ჩაითვალოს პარტიულ ორგანოთ. ეს შეუგნებლობაა, ხოლო პარტია კლასის შეგნებული ნაწილია, პარტიული მოქმედება ცნობიერი მოღვაწეობაა და მას უთუოთ მოქმედების ორგანოც შეგნებული, ცნობიერი უნდა ყავდეს. რა უნდა გაატაროს ცხოვრებაში ორგანიზაციამ, თუ მას ნათლათ შეგნებული არა აქვს პროგრამა და მოქმედების წესი (ტაქტიკა), რით უნდა იხელმძღვანელოს მან მოქმედების დროს? ის უნებურათ უნდა დაემორჩილოს თავის გულის თქმას, შეუგნებელ სტიქიურ მოძრაობას, ე. ი. ორგანიზაცია ხელმძღვანელი როდი ხდება მოძრაობის, არამედ მისი მორჩილი, მის უკან მიმყოლი, თითონვე სხვის მიერ ხელძღვანილი. განა ასეთ ორგანიზაციას შეიძლება დაერქვას პარტიული, განა ასეთ ორგანიზაციებიდან შემდგარ „პარტიას“ შეუძლია დაიკოს თავი იმ უხეირო, არა სასურველ ელემენტებისაგან, რომ სხვა კლასებიდან თავისი კლასიური ტენდენციით გადადიან და მით შეაქვთ გონებრივი და ზნეობრივი სიდუხჭირე? რასაკვირველია არა. მაშ რათ დაჭირდა ავტორს ასეთი განმარტება პარტიისა?

ამაზე სტატიის შემდეგი ადგილები გვაძლევს პასუხს: „შეიძლება ერთი კლასის ზოგი წევრი გადავიდეს მეორე კლასის პარტიაში, მაგრამ ესენი აქ უბრალო დამხმარე, სტუმრებია და ვერასოდეს ვერ დაიჭერენ მასპინძელთა ადგილს“... როცა „პარტია ახალ ფეხ ადგმულია, ის ჯერ კიდევ ჩვილი და განუვითარებელია. აი აქ გარეშე ელემენტების შემოსევა დიდათ საშიშია. ისინი აქ უბრალო დახმარებით კი ალარ კმაყოფილდებიან, პირიქით თავის თავს აცხადებენ პარტიის უფროსათ, მის ერთათ ერთ მხსნელათ და თხოულობენ სხვების მორჩილებას. იმათ, ვისაც პარტიის საქმეები პირდაპირ ეხება, ვინც პარტიის მთავარ ძალას შეადგენს, თითქმის ალარაფერს ეკითხებიან და ყოველივეს თვითონ თავის ქეიფისამებრ განაგებენ. და რომ ეს თავისი ქცევა გაამართლონ, ხშირათ ახალ თეორიებსაც იგონებენ, როგორც, მაგალ., მუშა-ხალხი თავისი ძალ-ღონით ვერ შეითვისებს მაღალ იდეალებს, ის კუჭის კითხვას, მანათზე შაურის მომატებას ვერ მოცილდება, ის მხოლოთ დღიურ ინტერესებს ხედავს და საბოლოო მიზნისაკენ არ იხედებაო და სხვ. მაშ ვის შეუძლია ყველა ეს შეიგნოს და ამათ შეაგნებინოს? ვის და ინტელიგენტებსო,—ამბობენ ისინი და ამით ერთი დაკვრით თავის თავს მუშათა პარტიის მეთაურათ აცხადებენ, ხოლო თვით მუშებს უბრალო მასალათ და ამათ ამყოლათ. ახლდება დიდი ხნის მიცვალებული აზროვნება გმირის და ბრბოს შესახებ. პ-რტიის ეს ორიოდე მეთაური გმირია, ხოლო პარტიის დანარჩენი წევრნი კი ბრბო, რომელიც პირველთ ხმა ამოუღებლივ უნდა მისდევდეს“... „ბრბოს, რასაკვირველია, უფრო სოციალური კითხვა იტაცებს, ხოლო „გმირებს“ პოლიტიკური და რადგანაც ბატონობენ—ბატონდება მისი ცალმხრივი მისწრაფება, იწყება ეკონომიური კითხვების დამცირება, უყურადღებობა და ამით კლასის პარტიისაგან დაშორება: მოსულთა დევნა, დამხდურთა მისწრაფება და ასე კლასი პარტია ორივე ინტელიგენტთა პირტიათ, რაც იწვევს წინააღმდეგობას და ბრძოლას. ინტელიგენტთა უმრავლესობას, რასაკვირველია, მოსწონს თვისი გაბატონება და „უმრავლესობის“ სახელით იწყებს პარტიაში თარეშობას, უმცირესობა ეკრძვის პარტიის ასეთ გადაუკულმართებას და „უმცირესობის სახელით მიმართავს თვით კლასის მოწინავე ნაწილს მსჯავრის დასადებათ“... რას გვიტკიცებს ამ გრძელ ამონაწერში ავტორი? მოკლეთ, არა მუშა, ინტელიგენტები უბრალო სტუმარია პარტიაში, რომ ამ სტუმრის შემოსვლა მეტათ საშიშია პარტიისთვის, რადგან ისინი გაბატონებას აპირობენ და მასპინძლების სრულ მორჩილებას მოითხოვენ. ისინი „გმირებია“, რომელთაც სოციალური კითხვა არ აინტერესებთ და მხოლოთ პოლიტიკური მოქმედებისთვის იწვევენ „მასპინძლებს“, მით ათახსირებენ მოძრაობის ნამდვილ მიზანს და თავისი ვიწ-

რო ინტელიგენტური მისწრაფება სახალხო მისწრაფებათ გამოაქვთ. ამიტომ იბრძვის „უმცირესობა“, ინტელიგენტთა „უმრავლესობის“ წინააღმდეგ, „ბრბო“ და ინტელიგენცია—აი ორი მოწინააღმდეგე ელემენტები პარტიაში; ინტელიგენცია—აი ვინ არის პარტიის შინაგანი მტერი. დასკვნა? მტერთან ბრძოლა ჭნდა, მტერი უნდა გაანადგურო. მტერია ინტელიგენცია, მაშ პარტიამ ეს მტერი—ინტელიგენცია უნდა განდევნოს, გაანადგუროს. ამას ქადაგებს „უმცირესობა“ „უმრავლესობის“ წინააღმდეგ, ასეთია დღევანდელი „უმცირესობის“ შეხედულება პარტიაზე და მის ელემენტებზე? მერე მართალია ეს შეხედულობა? წარმოადგენს თუ არა ინტელიგენცია განუყოფელს, ერთ მთელ კრებულს, რომლის წევრები აზრითა და ლტოლვილებით ერთმანერთისაგან არ განსხვავდებიან? აქვს მას საერთო მიზანი, საერთო იდეალი და მის შესაფერათ საერთო მოქმედებას ეწევიან? აქვსო, უპასუხებდენ რუსეთში მესამოცდაათე წლების მოღვაწეები, უპასუხებდენ ასე სწორეთ ისინი, ვინც „გმირებს“ ბრბოს უპირდაპირებდა და ამის შესაფერი თეორიებიც კი გამოიგონა. ასეთი შეხედულება დღეს საისტორიოთ ღა დარჩა. კაპიტალისტური წარმოების აღორძინება-განვითარებამ განავითარა კლასიური წინააღმდეგობა, ჩამოაყალიბა საზოგადოების მოწინააღმდეგე ჯგუფები და ინტელიგენციის კრებულის სხვადასხვაობაც, აზრთა და მისწრაფებათა წინააღმდეგობა ცხად-ყო, კიდევ უფრო განამტკიცა. საზოგადოებაში მებრძოლ კლასებს თვისი მომხრე, იდეოლოგი ინტელიგენტები გაუჩნდენ და შესაფერ მოქმედებას მიყვეს ხელი. ბურჟუაზიის ინტელიგენციას მუშათა კლასმა თავისი ინტელიგენტები დაუპირდიპირა და მათი საშუალებით მუშათა მოძრაობის თეორიული გამოხატულება შეიმუშავა. გონებრივმა მუშაკმა—მუშათა ინტელიგენციამ ფიზიკური შრომის პირობები შეითვისა, შეიგნო და სხვა დაწინაურებული ერების მოძრაობის მაგალითებით თავისი ქვეყნის ცხოველ მყოფელი ფაქტებით განსწავლული, ის თეორიულათ გამოხატავს პრაქტიკული ცხოვრების საჭიროებას, და მისდა შესაფერათ მკაფიოთ გარკვეულ, მეცნიერულათ შემუშავებულ პროგრამას ადგენს და ამ პროგრამის ცხოვრებაში გასატარებლათ პრაქტიკულ მოღვაწეებთან ერთათ ნათლათ სამოქმედო წესებს იმუშავებს. ამ გარკვეული პროგრამით და სამოქმედო წესებით იგი მოღვაწეობას ეწევა. საჭიროა თუ არა ამ პროგრამის და ტაქტიკის პოპულიარიზაცია? ცხადია საჭიროა. ვინ უნდა შოიმოქმედოს ეს? რასაკვირველია იმან, ვისაც შეგნებული აქვს პროგრამა, ტაქტიკა და შესაფერი მოღვაწეობა შეუძლია სამოქმედო ორგანოში. ეს შეგნება კი უმთავრესი დამახასიათებელია „ჩვენი“ ინტელიგენციის. მაშ მას პარტიული პროგრამა აქვს და პარტიული ტაქტიკით ხელმძღვანელობს. რათ ჩნდება ასეთი წინააღმდეგობა მას (ინტელიგენციასა) და „ბრბოს“ შორის, როგორც ამას წერილის ავტორი გვარწმუნებს. იმიტომ რომ „მათი აზრითო,—ამბობს ავტორი,—პარტია სახელმწიფოა, სადაც ყოველივე ბიუროკრატიულათ და იერარქიულათ კეთდება და საქმის წარმოება ბრძანება-მორჩილებაზე შენდება“... „ისინი ქადაგებენ „не смѣть свое сужденіе имѣть“, ხლო ამის საშვალებით раскасированіе-ს ალიარებენ. ასე ებრძვის „უმრავლესობას“ „უმცირესობა“. მერე რომელმა «უმრავლესობის» მომხრემ თქვა, რომ ყოველივე ბიუროკრატიულათ და იერარქიულათ კეთდება და საქმის წარმოება ბრძანება-მორჩილებაზე შენდებაო“? როდის უარყო უმრავლესობამ კლასის მოწინავე პირების მონაწილეობა პარტიაში. არსად და არასოდეს, წინააღმდეგ, უმრავლესობის ცნობილი მომხრე კარგა ხანია უთითებდა ამას, კარგა ხანია სამოქმედო ორგანოების მოწყობის დროს ურჩევდა, რაც შეიძლება მეტი მოწინავეები კლასისა უნდა შედიოდეს სამოქმედო ორგანოშიო. რათ დასჭირდა ავტორს ფაქტების არევ-დარევა? სამწუხაროა მხოლოთ, რომ ამ ჟამათ შეუძლებელია ყველაჯერის დასაბუთება, უფრო ვრცლათ განმარტება... აქ მხოლოთ ერთ კითხვას დავსვამ: ვინ არიან მოწინავეები? კლასის შეგნებული წევრები, ე. ი. ისინი, რომელთაც მოქმედების ასპარეზი გათვალისწინებული აქვთ, პროგრამა და ტაქტიკა გაგებული და შეთვისებული. ეს არის კლასის ცნობიერი წევრი და ამიტომ იგი აუცილებლათ პარტიის წევრიც უნდა იქნეს, აქტიურ მონაწილეობას უნდა იღებდეს სამოქმედო ორგანოებში. განა ასეთი წევრი ინტელიგენტი არ არის ანუ განა «ჩვენი» ინტელიგენტი კლასის მოწინავე წევრს არ წარმოადგენს? განსხვავებაა: ერთი, პირველი ფიზიკურ შრომას ეწევა განსაზღვრულ პირობებში, მეორე არა. მხოლოთ პოლიტიკური პარტიის წევრისათვის ასეთი განსხვავება სრულიად უმნიშვნელოა. რამდენათ შეგნებული აქვს ამა თუ იმ პირს პარტიის პროგრამა და ტაქტიკა, რამდენათ ღებულობს მონაწილეობას ის სამოქმედო ორგანოში. თუ არა აქვს შეგნებული და არ იღებს ასეთ მონაწილეობას, ის პარტიის წევრათ გამოუდეგარია: მოწინავე იქნება იგი თუ ინტელიგენტი სულ ერთია. თუ შეგნებული აქვს ერთიცა და მეორეც და მისდაშესაფერათ მოღვაწეობს, ის ნამდვილი წევრია პარტიისა, განურჩევლათ იმისა მოწინავეა ის თუ ინტელიგენტი. აი საზომი. ინტელიგენტობით ზომავა კი კლასიური შეხედულების ღალატია, მოძღუნებული და უნიადაგო შეხედულება. უეჭველია, ინტელიგენტი იქნება „რა არის პარტიას“ ავტორიც და ე. ი. ბრძანება-მორჩილების მომხრე, „გმირი“ „ბრბოს“ მოწინააღმდეგე, „ყოველივესი თავისი ქეიფისამებრ გამგებელი“ და სხვ. საკვირველია, რათ ამხედრდა თავისავე წინააღმდეგ? რათ დასჭირდა ასეთი ქადაგი?.. სასიქადულო თავს განწირავს ვუწდებდით, რომ კლასიური თვითშეგნებისთვის საზიანო არ იყოს და პარტიულ ერთობას არ ენებდეს!..

ს.

მუშათა კავშირები.

ეხლა ყველასათვის ცხადია, უცილობელი ფაქტია, რომ საზოგადოების ეკონომიურ ცხოვრებაში გამეფებულია კაპიტალისტური წარმოება. მსხვილი წარმოება მიწვდა საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველ კუნჭულს და თვისი ძლიერებით წინანდელი წყობილება მოსპო, გაანადგურა, დაამკვიდრა ახალი ურთიერთობა, დააჩქარა ცხოვრების ვითარება, შეიტანა ყველგან მოუსვენრობა, შექმნა აუარებელი სიმდიდრე და გაამრავლა ღარიბთა რიცხვი, ულმობელათ წალეკა ყოველნაირი დაბრკოლება და სავსებით გაუბატონდა თანამედროვე ცხოვრებას. შრომა და კაპიტალი—აი ის ორი დიადი ძალები, რომელიც ერთმანეთს ასაზრდოებენ და თანვე ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოთ შებმიან; შრომისა და კაპიტალის წარმომადგენელნი—აი თანამედროვე ცხოვრების უძლიერესი კლასები, რომელთა გარშემო ტრიალებენ ყველა დანარჩენები. მწარმოებელი მოკლებულია საწარმოვო იარაღებს და თავისუფალია იურიდიულათ, ე. ი. განთავისუფლებულია ბატონ-ყმური დამოკიდებულებისაგან, მას საცხოვრებლათ მხოლოთ თავისი მარჯვენა აბადია; სამუშაო ძალას ყიდის და მით ეკონომიურათ სხვისაგან დამოკიდებული ხდება. კაპიტალისტი, საწარმოვო იარაღების პატრონი, სამუშაო ძალას პირველისაგან ყიდულობს, უბატონდება მას და სხვისაგან დამოუკიდებელი საწარმოვო მოედანზე—თავისუფლათ დათარეშობს. ერთ მხარეზე ჩვენ ვამჩნევთ კაპიტალისტს, სიმდიდრით გალაღებულს, მეორეზე მწარმოებელს, სიღარიბით დატუქსულს. პირველი მეორეს სამუშაოს ძალის მყიდველია და ამ ძალის ნაწარმოების თავის სასარგებლოთ გამყიდველი. თითოეული

მათგანი ცდილობს ნაკლებათ მჭიდი იყიდოს; კაპიტალისტი ნაკლებ ქირას აწვდის, მეტ მუშაობას ითხოვს; მწარმოებელი მეტ ქირას მოითხოვს, ნაკლებ მუშაობას. მათ შორის ამ ნიადაგზე დაუცხრომელი წინააღმდეგობაა. აქ მუდმივი ბრძოლაა და ამ ბრძოლის გადამწყვეტი ძალაა. წინეთ, ძველ დროში, მონის პატრონი მონას უვლიდა, პატრონობდა ისე, როგორც ყველა პატრონი თავის პირუტყვს უვლის, პატრონობს. მონა მის საკუთრებას შეადგენდა და ის ამ საკუთრებას ინახავდა. ავათმყოფობის დროს ექიმობდა, სიჭირის დროს აჭმევდა, სიცივის დროს აცმევდა. ერთი სიტყვით, მისი ინტერესი აიძულებდა მას მონის სიცოცხლე დაეცვა. სულ სხვაა დღევანდელი კაპიტალისტი: მწარმოებელი მის საკუთრებას არ შეადგენს და ამიტომ ის მას იმდენ მზრუნველობასაც კი არ უწევს, რამდენსაც პატრონი პირუტყვს. თუ მუშა ავათ გახდა, ის სხვას 'მოულობს, თუ მუშა სიმშილით სიკვდილს მოელის, კაპიტალისტი კიდევ მეორე ასი კვდილს პოულობს. არავითარი პირადი ინტერესი კაპიტალისტს არ ეუბნება: შეიცოდე მუშა, მოუარე, სიკვდილს გადაარჩინე, სიმშილ-სიცივისაგან დაიცვი და სხვა. მწარმოებელს ერთათ ერთი პატრონი, დამცველი, მომვლელი, მზრუნველი ყავს: ეს არის თვით მწარმოებელი; მანვე უნდა უპატრონოს თავის თავს, მანვე უნდა დაიცოს თავი სიმშილისაგან, სიცივისაგან, გადამეტებული შრომისაგან, უდროო სიკვდილისაგან. ის ზევიდან არაფერს გამოელის, ამიტომ კაპიტალისტსა და მწარმოებელს შორის პირობების გამწესრიგებელი მხოლოთ ძალაა. ვისაც მეტი ძალა აქვს საბრძოლველათ გამარჯვებულიც ის გამოდის. რა ქმნის ამ ძალას? კაპიტალისტს ამ ძალას მისი ქონებრივი მდგომარეობა აძლევს. კაპიტალისტის ქონება ანუ კაპიტალი საშუალებას აძლევს მის პატრონს დაიმორჩილოს მრავალი მოწინააღმდეგე ძალები; მის გავლენის ქვეშ იკრიფება კანონმდებლობა, მას შეუძლია თავისუფლათ წავიდ-წამოვიდეს კიდით-კიდემდე და სადაც უჯობს იქ მოიკალათოს, რომელიმე ურჩი მწარმოებელის მაგიერ აიყვანოს. პრესის და პირად გავლენის საშუალებით საზოგადოებრივი აზრი მოიმხროს, ერთის სიტყვით, ის უფალია დღევანდელი ცხოვრების და ამ უფლებას იგი თვის საკეთილდღეოთ ხმარობს. მწარმოებელი სულ სხვა პირობებში იმყოფება; იგი ქონებრივათ უძლური კანონმდებლობაზე იმდენ გავლენას ვერ იქონიებს, თვისუფალ წასვლა-წამოსვლა იმავე ხელმოკლეობის გამო მისთვის შეუძლებელია; მას მრავალი მტრები ყავს, რიცხვი ამ მეტოქეების დღითიდღე იზრდება და იგი არსებობის დასაცველათ იძულებულია ყოველგვარ პირობებზე დათანხმდეს. მისი მეტოქეებია გაკოტრებული წვრილი მესაკუთრეები, მისი მეტოქეებია ფიზიკურათ სუსტნი, მხოლოთ თანამედროვე წარმოებაში გამოსადეგნი ქალ-ბავშვნი და მრავალი სხვა, რომელიც იმავე ქარხნების კარებს ეტანება და ლუკმა პურის მოსაპოვებლათ ნახევრათ პირუტყვულ ცხოვრებას ირჩევს, წელებზე ეხს იდგამს, შრომობს ბევრს, იღებს ცოტას და ცხოვრებს საოცარ პირობებში. ამიტომ თვითოეული მუშა ცალკე უძლურია, მას არ შეუძლია კაპიტალისტის ძლიერებას გაუძლოს, იგი უნებურათ უნდა დამორჩილდეს და გაძაღლებული ცხოვრება არჩიოს სიმშილით სიკვდილს. რაშია მისი უმთავრესი სისუსტე? იმაში, რომ მის მაგიერობას კაპიტალს სხვა ათასი გაუწევს, ის ურჩი წავა, სხვა მორჩილი მოიპოვება; მას გაადგებენ, მას დასჯიან, მას დატუქსვენ, ტანჯავენ—ის უძლურია. სხვები მისთანები შეხარიან მის გადგებას, მის განძევებას, მის ადგილს ისინი დაიჭერენ. მაშ როგორ უნდა შეიქნეს საჭირო ძალა? ამ მეტოქეობის მოსპობით, მწარმოებელთა განცალკევებული ძალების შეერთებით, საერთო გაჭირვებასთან საერთო გამკლავებით. ასეთი ერთობის ძალა კარგა ხანია დასავლეთ ევროპამ შეიმუშავა, კარგა ხანია ეს ჰეშმარიტება ევროპის მუშებმა შეიგნეს და პროფესიონალურ კავშირის სახით შექმნეს ისეთი ძალა, რომელიც ბძროლაში დიდ სამსახურს უწევს დაბეჩავებულ მწარმოებელთ. რა არის პროფესიონალური კავშირი? რაში მდგომარეობს მისი დანიშნულება? როგორ ასრულებს ის ამ დანიშნულებას? როგორია მისი ისტორია და რას გვიქადის იგი მომავლისათვის? აი კითხვები რომლის პასუხს შეადგენს ამ სტატიის შინაარსი.

მუშათა კავშირები ერთი წარმოების მუშების შეერთებული ორგანიზაციაა. ასეთი კავშირები ახალი დროის ნაშობნაზარდია. თანამედროვე წარმოებამ შექმნა ჯუფთა სასტიკი შეტაკების ფართო ნიადაგი და ამ ნიადაგზე მოღონიერდა უძლური მწარმოებელიც. მან ერთობაში, მეგობრულ კავშირში პოვა თავისი საბრძოლველი იარაღი და იგი ამ იარაღს კარგა ხანია აჰახვილებს, აუმჯობესებს. გრძელია და ისანაც სამაგალითოა ამ გამახვილების ისტორია, მრავალფეროვანია, მაგრამ საერთო მისწრაფებით გაჯჭვალულია ამ გაუმჯობესებისთვის მოქმედება. როცა ეს კავშირები ფრთას ისხამდა და ბრძოლის ველზე გასავლელათ ისწორებდა, მათ მეტათ ვიწრო მიზანი ქონდათ დასახული: ისინი დახმარებას უჩენდენ მუშებს მხოლოთ უფულობის ანუ უმუშევრობის დროს; ამ მიზნის მისახწევათ მათ ქონდათ საურთიერთო დამხმარებელი კასები. მხოლოთ თანდათან ზრდა-განვითარებამ უფრო გამოარკვია ამ კავშირების სახე, გააცნობიერა მათი მოღვაწეობა და მიზანი შეიცვალა. ასეთი დამხმარებელი კასები სახელმწიფო მოვალეობათ იყო ცნობილი და მაგალითათ გერმანიაში 1883 წლიდან მუშების დაზღვევების საქმე უმთავრესათ სახელმწიფოს ხელში გადავიდა. რა უნდა ეკეთებიათ ამას შემდეგ კავშირებს? მრავალი, უფრო სავალალო საქმეები. უპირველესი დანიშნულება მისი იმაში გამოიხატა, რომ გაეწესრიგებია მუშის დაქირავების პირობები. ეს გაწესრიგება ისე უნდა მოგვარებულიყო, რომ დაქირავების პირობები მუშებისათვის ხელსაყრელი ყოფილიყო. ამიტომ კავშირები ცდილობენ შრომის ბაზარზე ისეთი პირობები დაამკვიდრონ, რომ მუშებისათვის ამ პირობებში მუშაობა დამჩაგვრელი, დამტუქსავი არ გახდეს. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ მეტოქეობა ერთი უსაშინელესი მტერია მწარმოებლის. მეტოქეობა ნიშნავს მუშათა სიმრავლეს ბაზარზე; ეს უკანასკნელი აღემატება წარმოების მოთხოვნილებას; ე. ი. წარმოებას ამდენი მუშა არ ეპირება, ამიტომ მუშები სამუშაოს ერთმანეთს გლეჯენ ხელიდან, მხოლოთ მეჭარხნე ქირაობს იმას, ვინც უფრო იაფათ ჯერდება მუშაობას. მუშებს თავი მოუყრიათ ერთ ადგილს და მით სამუშაო ქირას იმცირებენ, საზოგადოთ შრომის პირობებს ათახსირებენ, მხოლოთ იმავე დროს შესაძლებელია მეორე ადგილს წარმოების მოთხოვნილება აღემატებოდეს მუშათა რიცხვს; აი აქ არის საჭირო დახმარება: საჭიროა ისე განაწილდეს ორივე ადგილას მუშების რიცხვი, რომ მეტოქეობა სულ თუ არ მოისპობ, შესუსტდეს მაინც და მით შრომის პირობები გაუმჯობესდეს. ამ შემთხვევაში მუშათა კავშირებს შეუძლიათ დახმარება აღმოუჩინონ მწარმოებელთ მრავალნაირ საშუალებით: მას შეუძლია გაიცნოს ბაზრების მდგომარეობა სხვადასხვა ადგილს და ეს ცნობები ბიუროს საშუალებით მიაწოდოს სამუშავრის მაძიებელთ; მაგრამ კიდეც რომ გაიგოს მუშამ სად უმჯობესია პირობები, მისთვის მაინც შეუძლებელია იქ წასვლა, რადგან მას სამგზავრო ფული არ მოეპოვება, ამისათვის მუშათა კავშირებს აქვთ თავისი კასა და ამ კასიდან იძლევიან გასამგზავრებელ ფულებს. ასეთი დახმარების აღმოჩენა შესაძლებელია მაშინ, როცა სადმე ბაზარზე მოიპოვება უკეთესი პირობები; თუ კი ეს პირობები ყველგან

ცუდია და მუშის გამგზავრება არაფერ სარგებლობას მოუტანს, მაშინ, რასაკვირველია ასეთი დახმარება ფუჭია, მიზანს ვერ მიწვდება და მუშები იძულებული ხდებიან მეტოქეობაში სული დალიონ. აქ იბადება ასეთი კითხვა: როგორ შეიძლება რომ ზედმეტი მუშები ბაზარში არ გამოვიდენ სამუშაოს საძებნელად თუ მით მეტოქეობა არ გაუწიონ ივისს ამხანაგებს? სხვაგან გამგზავრებას აზრი არა აქვს, რადგან ყველგან ცუდათაა ამ ჟამად ბაზრის საქმე მოწყობილი, მაშასადამე ერთათ ერთი საშუალება-ღა დარჩენილა; მუშათა კავშირებმა თავის ხარჯით შეინახოს უმუშევართ დარჩენილი ამხანაგები, აძლიონ კასიდან ფული თავის და ოჯახის შესანახათ, ე. ი. მუშათა კავშირებმა დროებით უნდა უზრუნველყონ ჯანსაღი, მუშაობის მსურველნი მუშები და უმუშევართ ამყოფონ საერთო ხარჯით. ეს მარტივი საშუალებანი, როგორც ვთქვით, შრომის პირობების გასაუმჯობესებლათ იხმარება. მხოლოთ ამ პირობებში უმთავრესი ადგილი უჭირავთ: სამუშაო დღეს და სამუშაო ჭირას. პირველის შემცირება და მეორეს მომატება—აი მუდმივი წადილი მწარმოებელის. წინააღმდეგ, სამუშაო დღის გაგრძელება და სამუშაო ჭირის შემცირება—აი საით მიილტვის კაპიტალისტის მოუსვენარი ბუნება. უკანასკნელი ამისათვის ყოველნაირ კანონიერ და უკანონო საშუალებას ხმარობს, მხოლოთ როცა ამ ლტოლვილებას წინ ელობება მუშების წინააღმდეგობა, კაპიტალისტი არჩევს დროებით სულ შეაჩეროს მუშაობა, ოღონდ შემდეგისთვის ხელსაყრელი პირობები დაამკვიდროს. მუშაობის შეჩერება მას შეუძლია: შემონახული ფულებით თავს ირჩენს, ძალას ატანს მოწინააღმდეგეს; ეს უკანასკნელი კი სულ სხვა პირობებში არიან: მათ შემონახული ფულები არ აქვთ და თვითოეული გამცდარი დღე სიმშილით სიკვდილს ემუქრება. ძალა პირველის ხელშია, აი ამ ძალის მოპირდაპირე ძალის შექმნას კისრულობენ მუშათა კავშირები. ამისათვის ისინი ცდილობენ: 1) გამოგდებული მუშის ადგილი მეორემ არ და იკავოს და 2) გამოგდებულმა როგორმე თავი გამოიკვებოს. მხოლოთ იმისათვის რომ ეს გადგომა ძლიერი და საგრძნობელი გახდეს საერთო გაფიცვას ახდენენ. აი უმთავრესი, საშუალება, რომლითაც მწარმოებელნი უძალავდებიან მოწინააღმდეგეთა ძლიერებს. საერთო გაფიცვას საერთო ორგანიზაცია ეპიყრება, საერთო თანხა, საერთო დახმარება. აი ამაების მიუწესრიგება შეადგენს დღევანდელ მუშათა კავშირების უმთავრეს დანიშნულებას. მათ უნდა ისე მოიმარჯვონ თავისი საბრძოლველი იარაღი, რომ მტერი იძულებული იქმნეს ან დანებდეს ან განადგურდეს. რასაკვირველია ფულზე გასუნაგებული ბუნება ყოველთვის პირველს არჩევს, ე. ი. სიკვდილს დამორჩილებას ამჯობინებს. ამ მწვავე საშუალების გვერდის ასავლელათ მუშათა კავშირის პრაქტიკამ შეიმუშავა ერთიმეორე დობიანი საშუალება, რომელსაც კოლექტიურ შეთანხმებას უწოდებენ. ეს საშუალება მდგომარეობას იმაში, რომ შრომის პირობები შემუშავდება და სწყდება მუშათა ორგანიზაციების და კაპიტალისტების წარმომადგენელთა შეთანხმებით. მორიგებით, მშვიდობიანათ მითომ-და კეთდება ის, რაც ომს უნდა გადაეწყვიტა.. ამნაირათ ჩვენ აღვნიშნეთ უმთავრესი მოვალეობანი მუშათა კავშირების; ის მოვალეობანი, რომელნიც თვით ცხოვრებამ არგუნა მათ და რომელთაც ისინი შეძლების და გვარათ ემსახურებოდენ. ამ მოვალეობის აღსასრულებელი ზოგიერთი საშუალებაც მივუთითეთ: ეხლა საჭიროა გამოვარკვიოთ ყოველ მხრივ ეს მოვალეობანი და საშუალებანი, გავიცნოთ მისი როგორც კარგი, ისე სუსტი მხარეები, გავიგოთ, თუ რა საშუალება უფრო უებარია მუშათა კავშირების მოვალეობის აღსასრულებლათ, როგორ ირკვეოდა ყველა ეს კითხვები თვით ცხოვრებაში და რა პასუხი შეიძლება მოგვცეს ისტორიამ. ამიტომ საჭიროა შევჩერდეთ რომელიმე სახელმწიფოზე და ამ სახელმწიფოს მუშათა კავშირების ისტორია გაკვრით მაინც გავიცნოთ. მუშათა კავშირების უძველესი და უდიდესი სავანე ინგლისია. მრეწველობით ყველაზე ადრე განვითარებული, გამაგრებული და მსოფლიო ბაზარზე ფეხ-მომაგრებული ინგლისი, ადრევე მეიქმნა მუშათა კავშირების განვითირების ქვეყანა. აქ ამ კავშირებმა სრულიად თავისებური სახე მიიღეს და ერთხელ სხვებისათვის სამაგალითო ამ მხრით ინგლისი, დღეს თვით სხვისი მაგალითების გავლენის ქვეშ იმყოფება. ასეთია გერმანიის მუშათა კავშირების გავლენა. ამიტომ ჩვენ გერმანიის მოძრაობასაც შევეხებით, რამდენათ ეს საჭირო იქნება კავშირების საზოგადო ხასიათის გამოსარკვევათ.

ა. წულუკიძე.

(შემდეგი იქნება).

ცოტა რამ ვალაცაკების თეორიაზე.

(დასასრული.—იხ. „მოგზ.“ № 4).

რაგორც პირველ წერილში დავინახეთ, სოციალური სიდატკე კაპიტალისტური წარმოების განვითარებასთან ერთათ იზრდება; ამავე დროს მწვავდება სახოგადოებრივი განსხეთქილება, და პროლეტარიატი უფრო მეტად გრძნობს აბრძოლს კაპიტალიზმის მძიმე უღლიდან განსათავისუფლებლათ. უეჭველ იცის, რომ, რაც დრო გადის, წარმოებაში იმდენათ გაუმჯობესებული მანქანები შეიქმნა, საწარმოო იარაღების ტეხნიკა უკეთესდება, შრომის განაწილება ვითარდება. გაუმჯობესებული წესით წარმოება, რომელიც ნაკლებ ტეხნიკურ ცოდნას და გამოცდილებას თხოულობს, და ამით გამოწვეული მოცილეობა მუშებს შორის, ათვრთოებს შრომის ბაზარს, მრავლდება დედაკაცების და ბავშვების რიცხვი ფაბრიკა-ქარხნებში, სამუშაო ჭირა ეცემა. უფრო მეტი ქალების და ბავშვების ფაბრიკა-ქარხნებში მუშაობა იმის ნიშანია, რომ მუშის ოჯახს მამაკაცის შემოსავალი გულარ აკმაყოფილებს გართულებულ მოთხოვნილებებს, მამაკაცს აღარ შეუძლია საკუთარ სამუშაო ოჯახის კასავალს გაუძღვეს. ასეთ პირობებში პროლეტარიატს ორი გზა აქვს: ან მთელ-შვილი სამუშაოთ წავიდეს, თავის შრომით ფული მოინაგროს და ოჯახის დანაკლისი შეავსოს; ან კიდევ მუშამ ცოლის შერთვაზე ხელი აიღოს. დღევანდელი უკუღმართი ეკონომიური ვითარება უმეტეს შემთხვევაში ძალას ატანს, რომ მუშამ მეორე გზა აირჩიოს. პროლეტარი ცოლის შერთვას ერიდება, ამისათვის გაუთხოვარ ქალთა რიცხვი მატულობს, რომელნიც იძულებული ხდებიან საკუთარი შრომით იარსებონ თავი. ასე ამ სახით კაპიტალისტურმა წარმოებამ გახრწნა დღევანდლამდე არსებული ბურჟუაზიული ოჯახი და სამაგიეროთ არ მოგვცა ოჯახის ახალი ფორმა. შეუდგენობათა რაოდენობა კლებულობს კრიზისების დროს, მატულობს, თუ რომ წარმოების პროცვრი იფერხება, მაგრამ საზოგადოთ კი კლებულობს.

1000 მცხოვრებზე შეუდგენი მოდიოდა:

წელი	გერმანიაში.	ავსტ.-უნგრ.	საფრანგეთში.	ინგლისში.
1872	10,3	9,3	9,7	8,5
1873	10,0	8,9	8,8	8,6
1874	9,5	9,0	8,3	8,3
1880	7,5	7,6	7,4	7,3
1881	7,5	8,0	7,5	7,5
1882	7,1	8,2	7,4	7,6
1890	8,0	8,0	7,7	7,6
1891	8,0	7,8	7,5	7,7
1895	7,9	7,9	7,5	7,4

საყურადღებოა აგრეთვე ისიც, რომ დიდების რიცხვი მატულობს: გერმანიაში 1880 წ. 15 წლის ქვეყით უმცროსი მცხოვრებლების საერთო რიცხვის 35,4 პროცენტს შეადგენდა, 1890 წელს კი—35,1%-ს. ჯვარ-დაწერილები, ქმრიგები, გაყრილები ამ ხანში 18.100,000-დან 19.800,000-მდე ავიდა, ე. ი. მოიმატა

9,3%; უცოლონი, ე. ი. 15 წლის ზევით 11.100,000-დან 12.300,000-მდე ავიდა, ე. ი. მოიმატა 10,2%.

რაც შეეხება მრეწველობა-ვაჭრობაში ქალთა რიცხვი თანდათან იზრდება, დამქირავებელნი ამით სარგებლობენ, და ამით სამუშაო ქირას უკლებენ, ასე რომ ეს ქირა ამათ ალარ ეოფნით საცხოვრებლათ; ამისათვის ესენი იძულებული ხდებიან ორივენი მცირე შემოსავალი თავის სხეულის გაუარესებით, შეამსუბუქონ არსებობენ ისეთი საზოგადოებანი ქრისტიანული სახელმწიფოები, სადაც მრეწველობა-ვაჭრობით, სადაც მუშა-ქალი ასე მცირე სამუშაო ქირას აძლევენ, რომ თუ ამათ ბრასტიტუცია ხელობათ არ გაიხადეს, აბა ცხოვრება ვერ შეძლებენ. ერთი სიტყვით, ბრასტიტუცია ისეთივე აუცილებელია ბურჟუაზიულ საზოგადოებისთვის, როგორც ბოდიცია, მუდმივი ჯარები, ეკლესია.

ბრასტიტუტები მრავლდებიან იმდენათ, რამდენათაც ქალთა რიცხვი იზრდება წარმოების სხვადასხვა დარგში. ამით გამრავლების მეტის მეტათ ხელს უწყობს სამრეწველო კრიზისები, რომლებიც კაპიტალისტურ წარმოების ქრონიკულ ავათმყოფობათ გადაქცა და რომლებიც ულუკმა-პუროთ ტოვებენ აურაცხელ მუშათა ოჯახებს. 1865 წელს, ინგლისის ფაბრიკის ინსპექტორი სხვათა შორის ა რას წერდა: „ინგლისში მომხდარ ბამბის კრიზისის დროს, რომელიც გამოწვეული იყო ჩრდილოეთ ამერიკაში მონების გამანთავისუფლებელ ომის გამო, ბრასტიტუტებ-ქალთა რიცხვი უფრო გაიზარდა, ვიდრე უკანასკნელ 25 წლის განმავლობაში. ერთმა ცნობილმა მეცნიერმა სტატისტიკურ გამოკვლევით დაგვიმტკიცა, რომ 5000 ბრასტიტუტკიდან 1440 სიდარიბე და გაჭირვებას აეძულებინა ამ გზას დადგომოდენ, 1250—ხნიერებას და უსახსრობას, 80 იმიტომ, რომ შემოსავალით მშობლები ერჩინათ, 1680 იმიტომ, რომ სავარდებს დაეტოვებინათ, და 400 ამათგანი ათეტრებს და სალათების შეეცდინათ. აქ მოყვანილ სტატისტიკურ ცნობებს განმარტება ალარ უნდა; აშკარაა, რომ უკუდმართმა ეკონომიურ ბირობებმა, სიდატკვემ, მცირე შემოსავალმა, დატუეილებამ გაჭირებული ქალები უნამუსობამდის მიიეყვანა. ბრასტიტუტკების რიცხვი არ შეიძლება სრულათ ალინუსხა; ბოდიციის შეუძლია აქ დახმარებითი ციფრები მოგვცეს, ვინაიდან ის ბრასტიტუტკები, რომლებსაც ეს ხელობა ერთათ-ერთ სახსრათ გაუხდიათ, ერთობ ცოტაა. უმრავლესობა ამ საქმეს ფარულათ ჩადის და ამიტომ შეუძლებელია უკვე ამათი რაოდენობის გამორკვევა.

ბოდიციის ცნობებით დონდონში 80000 ბრასტიტუტკა იყო, პარიჟში—1892 წ. 4700, მაგრამ ეს რიცხვი სინამდვილესთან ძლიერ შორს არის, რადგანაც აქ არ არის ნაწვენები იმათი რიცხვი, ვინც ამ საქმეს ფარულათ მისდევს. ბერლინში 1886 წ. 3006 ბრასტიტუტკა იყო, 1887 წ. 3063,—1888 წ. 3392, 1889 წ. 3701; 1890 წ. 4039; ესენი აქაც სულ მცირე ნაწილს შეადგენენ, უმრავლესობა ბოდიციის შეუმჩნეველათ მიზნევს ამ საქმეს. უკანასკნელათ რიცხვი ბერლინში 1881 წ. 10,878 იყო; 1884 წ. 11157; 1887 წ. 13358; ამას დაუმატოთ ბერლინში კედლუნრინები (დედაბუნა-ვაჟაბუნაში მოსამსახურე ქალები), რომლების რიცხვი, 1890 წ. 2022 სულს აღემატებოდა; თითქმის ყველა ამათგან ბრასტიტუცია ხელობას შეადგენს. შეგნიშნავ აქვე, რომ ამ კედლუნრინათა ცხოვრება, სრულებით არ არის ისე საშინელი, როგორც ეს აწერილი ქონდა ამ რამდენიმე წლის წინეთ ბ. ფ. პატრიშევს. მთელ გერმანიაში ბრასტიტუტკების რიცხვი 180,000 იყო; ამოდენა ქალების ცხოვრების ერთათ ერთ წყაროთ ბრასტიტუცია ითვლებოდა. ამას მოდევს სამწარული სქესობრივი ავათმყოფობა; რომელიც მთელათ ამახინჯებს და აჭკვეთებს ფიზიკურათ ადამიანთა მოდგმას. ერთი მეცნიერის გამოკვლევით ბრასტიტუტკა საშუალო რიცხვით 22—25 წელს ცხოვრობს, იცდა ხუთ წელს ზევით უფეული მეთორმეტე ბრასტიტუტკა თავს იკლავს, ისე მაბეზრებია მას სიცოცხლე. დიახ, ეს მეტათ დასაძრახი ხელობაა, მაგრამ რას იზამთ? ბრასტიტუტკების 47,9% ხელოსანთა ოჯახებიდან იკრიბება. (წვრილ ხელოსნებს, რაგორც ვიცით, მსხვილი წარმოების განვითარება ბევრათ უფრო ჩაგრავს, ვინემ ფაბრიკის მუშებს). 22,0% ფაბრიკის მუშების ოჯახებიდან, 14,4% წვრილ მოხელეების წრიდან, 10,4% მოვაჭრეებიდან, 4,1% მეურნეთაგან, 1,2% სამხედრო წოდებიდან.

ასე, ამგვარათ დღევანდელმა ნივთიერმა უთანასწორობამ სოციალური ბრიფეესია—ბრასტიტუცია დაბადა. ბეეუაზიულ წესწეობილების მოტრფიალე ეკონომისტების და იმათთან ერთათ გაზ. „ცნობის ფურცლის“ ეოფილი მეფელეტონე ბ-ნი ფ. გოგიჩაიშვილი, მწუხარებით აღნიშნავენ ფეოდალურ ხანაში არსებულ სამარცხვინო ჩვეულებას „პირველ ღამის“ უფლებას და მას ზიზღით იხსენებენ. ესენი ამ ჩვეულების მოსპობას ბურჟუაზიას აწერენ, რომელმაც ფეოდალურ წეს-წეობილების მოსპობით ბოდო მოუდო აგრეთვე ამ სიძაგილ ჩვეულებასაც. მართალია, ბურჟუაზიის გამარჯვებამ მოუდო ამ წესს ბოდო, ფეოდალ-მებატონეებს წაართვა ეს სამარცხვინო უფლება, მაგრამ სამაგიეროთ ამ პროგრესიულმა კლასმა ახალ სხვა გვარი სოციალური სამარცხვინო ჩვეულება წარმოშვა: ეს გახლავთ თანამედროვე ბრასტიტუცია. ფეოდალურ ხანაში, მართალია, ბატონს პირველი ღამის უფლება ქონდა, უმის ცოლი ქორწილის პირველ ღამეს მას ეკუთვნოდა, დღეს კი, ბურჟუაზიულ საზოგადოებაში, თუმც „პირველი ღამის“ უფლება სამუდამოთ მოისპო, სამაგიეროთ, ახალი კაპიტალისტების კლასმა—ბურჟუაზიამ—ფულის სამუალებით გაჭირებულ ქალთა სხეული სქესობრივ ვნებათა დასაკმაყოფილებელ მანქანათ გაიხადა, იგი დღეს ფულით ეიდუდობს ბრასტიტუტკებს. და განა ეს სამარცხვინო ბრიფეესია სოციალური სიდატკის შედეგი არაა?! განა სახარეელო ხელობა დღევანდელი ეკონომიური უთანასწორობით არ არის გამოწვეული?

დღეს სოციალური სიდატკე მეშათა ცხოვრების მრავალ-გვარია. ავიღოთ თუნდ სხვადასხვა გვარი ფიზიკური ავათმყოფობა, რომლებსაც იწვევს მრეწველობის სხვადასხვა დარგი: მაგ. გულის ავათმყოფობა, მხედველობის დასუსტება, ხელის თითების დაღუნება და სხ... ერთ კონგრესზე ექიმებმა დაამტკიცეს, რომ წლეკნ თითქმის მხოლოთ ბრიფეესიების ავათმყოფობაა.

დასასრულ უმრავლესობის გადატკების მიჩვენებელია აგრეთვე ამ პართა გამრავლება, რომლებიც მოწყალებას ეებულობენ. ბავარიაში 1871—1895 წლებში მოწყალების მიმდებთა რიცხვი ავიდა 129.996-დან 183.280-დე, ე. ი. მოიმატა 41%, მაშინ როცა მცხოვრებთა საერთო რიცხვმა მოიმატა მხოლოთ 14%.

ჩვენ დავინახეთ, რომ ბრიფეესიების მოთხოვნილების გამრავლებასთან ერთათ დასაკმაყოფილებელი სახსარი შესაფერისათ არ ემატება; სხვა სიტყვით, ნაწარმოების ჯამი, რომელიც თითეულ მუშაზე მოდის, იზრდება, მაგრამ საერთო ნაწილი, რომელიც მას თავის ნაწარმოებიდან ერგება, მუდამ კლებულობს.

ნაწარმოების ასეთი არა კანონიერი განაწილება ბადებს საზოგადოებაში არა ნორმალურ ცხოვრებას, სოციალურ სიდატკეს. აი, ამაში მდგომარეობს „კლატკების“ თეორია, ასე ესმოდათ მარქსენგელსს, ასევე ესმით იგი ორტოდოქს-მარქსისტებსაც.

ლ. ახმეტელაშვილი.

საზოგადოებრივი-ისტორიული წერილები.

(რუსულიდან თარგმ. ლ. ელიავასი)

(შემდეგი.—იხ. „მოგზ.“ № 5).

IV.

წარმომადგენელობითი სისტემა.

საწარმომადგენელო დაწესებულებების კვალს ჩვენ ვპოულობთ ძალიან ადრე, ჯერ კიდევ ბარბაროსობის ხანაში, როგორც კი გაფართოვდა და გართულდა ზოგიერთ საზოგადო საქმეების სფერა იმდენათ, რომ შეუძლებელი შეიქნა მათი

განხილვა საზოგადო კრებაზე, სადაც ყველა დაინტერესებულ პირს მიეღო მონაწილეობა, მაშინ თავის თავათ, საჭირო შეიქნა, საზოგადო კრება წარმომადგენელთა კრებით შეეცვალათ.

ასეთ კრებებს ჩვენ იროკეზებში ვპოულობთ, მარა ამ კრებებსა და ეხლანდელ პარლამენტებს შორის დიდი განსხვავებაა არა მარტო გარეგნობით, არამედ არსებითაც:—ავიღოთ, მაგ. იროკეზთა ფედერაცია; აქ იროკეზთა ხუთი თემის დროებითი შეთანხმება თანდათან გადაიქცა კავშირათ, რომელსაც უფრო სამხედრო მიზანი ჰქონდა. ეს კავშირი კი ერთობ დიდი იყო და მისი საქმეების საერთო საზოგადო კრებებზე განხილვა ძნელი იყო.

მის საქმეებს აწესრიგებდა მცირე რიცხოვანი კრება, შემდგარი ხუთი თემის ყველა გვარათა წარმომადგენლებისაგან, მაგრამ ამ კრებას არა ჰქონდა სრული ხელმწიფება; მას არ ჰქონდა უფლება თავის გადაწყვეტილება უმცირესობისათვის სავალდებულოთ გაეხადა. აქ საქმე ხმის უმეტესობით როდი წყდებოდა, არამედ ტომთა უმეტესობით და სავალდებულო მხოლოთ ერთხმათ მიღებულ გადაწყვეტილება იყო. თვითეული წევრი ამ კრებისა იყო წარმომადგენელი მხოლოთ იმ ტომის საკუთარი ინტერესების, რომელმაც ის წარმოგზავნა და არა მთელი საზოგადოების, როგორც დღეს არის (ან უნდა იყოს მაინც) თანამედროვე პარლამენტში.

ასეთივე იყო წარმომადგენლობითი კრებები, რომელიც დამოუკიდებელმა ქალაქებმა და თემებმა დაიწყეს ცივილიზაციის ხანაში. მაგ. შვეიცარიაში კავშირის სეიმს *), ამ ცალ ცალკე კანტონების წარმომადგენელთა კრებას, წინეთ მხოლოთ საერთო საქმეების შეთანხმების მოწყობა ედო გვალთ, მას არ შეეძლო ხმის უმეტესობით დაედგინა გადაწყვეტილება. არც ერთი კანტონი არ იყო ვალდებული მიეღო ის გადაწყვეტილება, რომელსაც არ ეთანხმებოდა.

ამ სეიმისაგან ცოტათი თუ განსხვავდებოდა საერობო წარმომადგენელთა კრებაც, რომელმაც საშუალო საუკუნის გასულს საკმაოთ გარკვეული სახე მიიღო, ევროპის ფეოდალურ სახელმწიფოებში. ეს საერობო კრებები იგივე ძველი სახალხო კრებები იყო, მისი განვითარება, რომელსაც იმდენათ ეპარებოდა ფედერატიული ელემენტები რამდენათ ტომთა შორის ერთობა და ტომებრივი თვითცნობიერება ქრებოდა, სოფლები და თემები ერთმანეთს შორდებოდენ.

ჩვენ უკვე დავინახეთ, როგორ დაემხო ძველი სახალხო თავისუფლება. ხალხის დაბინადრების შემდეგ სათემო კრებების მაგიერ დაწესებული საერთო სახელმწიფო, სასოფლო და საერობო კრებები ჯერ კიდევ არ იყო მოსპობილი. ეს კრებები წინანდებურათ იმართებოდა საზოგადო, სადაც საქმეების გადასაწყვეტათ და თანამდებობის პირთა ასარჩევათ, მარა თავისუფალთა რიცხვი, მხოლოთ ამათ შეეძლოთ მონაწილეობის მიღება, სწრაფათ კლებულობდა. თვით ამ თავისუფალთა შორის კლებულობდა რიცხვი იმ პირთა, რომელთაც ეხერხებოდათ კრებებზე გამოცხადება.

საფრანგეთში ყოველ თავისუფალ სრულ-წლოვანს ჰქონდა უფლება სახელმწიფო კრებებში მონაწილეობისა. მაგრამ ფაქტიურათ კრებებს ესწრებოდენ მხოლოთ მეფე ამალით, საგანგებოთ მოწვეული სასულიერო და საერობო დიდკაცობა და წარჩინებულნი, უბრალო მომაკვდავთაგან მხოლოთ ისინი, ვინც კრების ადგილის ახლო ცხოვრობდა, ან და ვისაც რაიმე განსაკუთრებული საქმე ჰქონდა კრებასთან.

ბოლოს უბრალო ხალხმა სრულიადაც თავი დაანება კრებებზე სიარულს, მეფეს ხომ მათი მონაწილეობა სრულიადაც არ აინტერესებდა, საჭირო იყვენ მხოლოთ ისინი, ვის ხმასაც გასავალი ჰქონდა, ვისგანაც იგი ფაქტიურათ დამოკიდებული იყო: მსხვილი მიწის მესაკუთრეები, ეპისკოპოსები და აბატები, ჰერცოგები და გრაფები.

საქრისტიანო გერმანელთა ქვეყნებში სახელმწიფო და საერო კრებები თანდათან აზნაურობის კრებებათ გადაიქცა, რომელიც იმართებოდა მეფის კარზე. მათი მნიშვნელობა სწრაფათ ეცემოდა, მათ დაკარგეს თანამდებობის კაცების არჩევის უფლება, რადგან თანამდებობა ან შთამომავლობით გადადიოდა, ან თვით მეფე არიგებდა. უმაღლესი სამართალის საქმე იმდენათ გართულდა, რომ აზნაურობას მისი თავის გართმევა იმდენათვე უჭირდა, როგორც წინეთ სახალხო კრებების. სამოსამართლო საქმეები სულ თანდათან პროფესიონალურ მსაჯულების ხელში გადადიოდა.

კანონის აღმასრულებელ უფლებასთან ერთათ პროფესიონალურ მსაჯულების ხელში ნელ-ნელა გადადიოდა ახალი კანონების გამოცემის უფლებაც. სამოსამართლო და საკანონმდებლო უფლებათა სრული განსაზღვრა ახალი საქმეა. სრულიად განსაზღვრული ეს ორი უფლება დღესაც არ არის. წინეთ მსაჯულები საქმის გარჩევის დროს ჩვეულებებით, ტრადიციებით ხელმძღვანელობდენ, თუ რამ არა ჩვეულებრივი საქმე შეხვდებოდათ, მაშინ მსაჯულების გადაწყვეტილებას კანონის ძალა ეძლეოდა.

გარდა ტრადიციებისა საზოგადოებრივ ურთიერთობას მაშინ აწესრიგებდენ არა საზოგადო კანონებით, არამედ იმ განსაკუთრებული პირობებით, რომლითაც ერთი თემი ან პირი ეკვროდა მეორეს. ამიტომ აზნაურობას არ ჰირდებოდა კანონმდებლობის საქმის შემუშავება.

თუ ბოლოს იმასაც მივიღებთ მხედველობაში, რომ იმ დროს მეფეებს ჩვეულებრივი შემოსავალი მიწებიდან ჰქონდათ და არა გადასახადებიდან, მაშინ ჩვენთვის ცხადი იქნება, რომ დრო-დროთი აზნაურობის კრებების გამართვა სრულიად აღარ იყო საჭირო. მეფე აზნაურობას მხოლოთ საგანგებო საქმეებისათვის იწვევდა, როდესაც უნდოდა რამე განსაკუთრებული მოეთხოვა «თავის ხალხისაგან», აი მაშინ ჰიროდა მას მათი დახმარება და მათგან მხარის დაჭერა.

საერობო კრებების აღორძინება გამოიწვია გვაროსნობის ომის დროიდან ქალაქების განვითარებამ. განვითარდა ვაჭრობა-მრეწველობა; გაშენდა მრავალი ქალაქები, რომელთაგან ბევრმა დიდი ძალა მოიპოვა. ზოგი ასეთ ქალაქთაგანი დამოუკიდებელ რესპუბლიკათ შეიქნა, ზოგმაც არა თუ გადიგდო სხვისი ბატონობის უღელი, თვით გახდა მბრძანებელი და ხშირათ ძლიერი მბრძანებელიც, მპყრობელი დიდი სახელმწიფოებისა, როგორც ძველი დროის ქალაქის რესპუბლიკებმა, რომელზედაც ზევით ვილაპარაკეთ, მაგალითათ დავასახელებთ ვენეციის რესპუბლიკას. იქაც კი, სადაც ქალაქებმა ამ სიმაღლემდის ვერ მიახწიეს, იქაც ისინი ისეთი ძლიერნი შეიქნენ, რომ მათი აბუჩათ აგდება აღარ შეიძლებოდა და მეფეებმა იგრძნეს აუცილებლობა ისევე მიემართათ ქალაქის წარმომადგენლებისათვის, როგორც აზნაურებისათვის; ეს მოხდებოდა ხოლმე მაშინ, როცა მეფეს რამე დიდ მნიშვნელოვანი საქმე ჰქონდა და მათი დახმარებოდა სჭირდებოდა.

(შემდეგი იქნება).

*) Tagsatzung. მე-XIX-ტე საუკუნის ნახევარში ამ დაწესებულების მაგივრათ დაარსდა პარლამენტი ორი პალატით, რომელიც საქმეებს ხმის უმეტესობით წყვეტს.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

17 თებერვალს, როგორც იცით, დიდი ხნის დადინას შემდეგ, გამოვიდა „იერია“, „განახლებული რედაქციით და ახალ თანამშრომელთა მონაწილეობით“. ბ-ნი ფ. გოგიბერიშვილი გრძელ სარედაქციო წერილში ცდილობს განცხადოს მკითხველი საზოგადოება თავისი წადილს, ფიქრს და განზრახვას, ანუ როგორც მიღებულია გამო-

თქვამს თავის profession de foi-ს. სამწუხაროთ, მისი მეთაური წერილიდან მკითხველს რამე კარგედი აზრის და შეხედულების გამოტანა არ შეუძლია. მეთაურის ავტორი სიტყვა მიმართულებას ფერხიდებში სჯამს, და ამით თითქო წინდაწინვე ეუბნება მკითხველს, რომ მისთვის დღეს საჭირო არცკი ერთ რომელსამე კარკვეულ მიმართულებას დაადგეს. სწორეთ ამიტომ არის, რომ წერილის ავტორი თითქმის უოველფერზე დაბარაკობს: ქართველ ერის კეთილდღეობაზე, წოდებებზე და მათ შორის აუცილებელ სოლიდარობაზე, მშრომელი ხალხის ინტერესების დაცვაზე და საერთო ეროვნული ნიადაგზე და ინტერესებზე. როგორც ხედავთ, აქ არაფერი ახალი არ არის, და ჩვენ საკვირველი ვეთანხმებით ბ-ნ გიორგაშვილს, რომ სიტყვა „ახალი“ თავის თავთ არაფერს არ ნიშნავს, რასაც ასე დაუინებით გვპირდებოდა იგი აგერ ორი თვის განმავლობაში. ეოველ შემთხვევაში რედაქცია გვპირდება, რომ „ეგრეთ წოდებულ მიმართულებას“ საკვირველი მხედოთ კერძო მოვლენათა და საკითხია გარკვევის დროს გამოვიჩენთ და გამოვამეღავნებთო. ჩვენც ამას დავუცადოთ.

**

ერთი წელიწადი მეტათ საკრძნობელი დროა ზოგიერ საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის. ხშირათ მოხდება ხოლმე, რომ მთელი საუკუნოების მუშაობის უდრის და წინ ასწრებს კიდეც ერთთერთი წლის მუშაობა. ამის დასამტკიცებელი საბუთი თვალ წინ გვაქს: რას წარმოადგენდა რუსეთი ერთი წლის წინეთ და რას წარმოადგენს ახლა? შეადარეთ შარშანდელი რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრება, მოდუნებული, ჩამქრალი, ავტიური, დღევანდელს, რომელიც ქუხს და ელავს და თვალ წინ წარმოგიდგებათ შემდეგი კონტრასტი: ერთი მხრით დაწუნარებული, მიძინებული ზღვა, რომლის ზედა ბირი სარკესავით სწორი და აუშფოთებელია, და მეორე მხრით იგივე ზღვა, მაგრამ აჭყეებული, აზვირთებული, დაუდგრომელი, რომელიც თავის ტალღებს თვით ზეცის დრუბლებს აჯახებს და განადგურებას უქადის ყოველივეს, რაც მის ზვირთების მოძრაობას წინ აღუდგება და ჩაცხობას თექრობს. სწორეთ ამ სკანს ეხება ბ. ნოე ჟორდანია „ნ. ჟ-ის“ ფურცლებზე და ნიჭიერათ ასურათებს ამ ორ სხვადასხვა მდგომარეობას რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრებისას, რომელთა შორის მხედოთ ერთი წლის მანძილია.

საბრალოთ და ზიზღით იგონებს ნიჭიერი მწერალი იმ დროს, როცა ამ ერთი წლის წინათ რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში ბრძა, უგუნური ბრბო, მთავრობის წაქეზებით და ნებართვით რადაც „პატრიოტულ“ მანიფესტაციებს მართავდა და თავისი საზიზღარი ქცევით უბათ ასაბუთათ და ქვეყნის სასიცილოთ ხდებოდა. სამართალიანათ ახასიათებს ბ. ნოეგორდანია იმ ბირთ, რომელნიც თავისი უგუნურობის თუ გარეგნილების მიზეზით მონაწილეობას იღებდენ ორიოდე კორიდორიოს, არაუით კაცეშიდი დოთების და ჯიბეგირების მიერ წამოწეებულ მანიფესტაციებში; ეოველთ შეუძლებელი იყო მაშინ გამოგეთქვა ის, რასაც ფიქრობდი. ეჭვის შეტანაც კი იმის შესახებ, რომ ვინ იცის, შეიძლება იპატრიოტებს გვჯობან რუსებსო, სახელმწიფოს წინააღმდეგ დანაშაულობათ ჩაგეთვლებოდა და ვინ იცის სად ამოგაყოფინებდენ თავს ამის გულისთვის.

მაშასადამე საშინელებას გვიქადდა. რა იქნება შემდეგ, როცა რუსეთი გაიმარჯვებს თავზედ იპატრიოტებზე?

„მაგრამ გავიდა ერთი წელიწადი. სურათი შეიცვალა ისე, რომ მისი ცნობა შეუძლებელია. რუსეთი დავუკვირდა, დამოწიფულდა.

მხედოთ ახლა, როცა პეტერბურგის, ვარშავის, სარატოვის ქუჩების შეძრა და გონებაში შარშანდელ ამბებს ადარებ, მხედოთ ახლა გრძნობ, თუ რა უსუსურ ძალას წარმოადგენდენ შარშანდელ მანიფესტანტების ბრბოები. და მაშინ კი ის ამბები ჩვენ განა უშვედებული, ფერად სერიოზული არ გეგეონას? აბა, უფრო დაუგდეთ ახლა ჩვენს მშობელ რუსეთს, რომელიც ამდენი ხნის დუმილის შემდეგ, ეს ეს არის ენას იდგამს და შეადარეთ მისი ხმა ცრუ-პატრიოტების ყვირილს.

მაშინ იმათ სამსახურისათვის მზათ იყო მუსიკაც, პოლიციის დახმარებაც, მთავრობის გამხნევება და წაქეზებაც. ახლა კი ვინ იცის, რა სასეიდელს გამოიღებდა იგივე პოლიცია, რუსეთის ჩასაგუმებლათ, რომ შეიძლებოდეს.

მაგრამ, წარმოიდგინეთ, თუით რუსეთის პოლიციის ძალასაც აღემატება ეს შეუძლებელი საქმე: არ ჩაგუმდება რუსეთი!

სად-და არიან ის სტუდენტები, რომელთაც არ რცხვენოდათ თავისი სტუდენტობის, რაც ეეროდებოდენ და მხარს აძლეედენ არაეით მოეიდეულ მაწანწალებს? სტუდენტები, რასაკვირველია ახლაც არიან და, ვინც რომ აქამდის არ მოინანია შარშანდელი ცოდვები, დამუნჯებული, კუთხეში მიმალული და ვერ ბედავს საჯაროთ ხმის ამოღებას.

რაც ადარებ ერთმანერთს, რასაც ახლა დაბარაკობენ ვაგონებში და რაზედაც შარშან ბაასობდენ იმავე ვაგონებში, აუწერელ განცვიფრებაში მოდიხარ და ძალა უნებურათ ეკითხები თავის თავს: ნუ თუ ეს სიზმარი არ არის და ეეელფერი სიცხადეში ხდება? არა, ეს—სულ სხვა სახელმწიფოა; სხვა სახელმწიფო კი არა—სულ სხვა ქეეყანაა. ის, რაც ერთი წლის წინათ უძვირფასესი გრძნობების შეურაცხყოფათ მიაჩნდათ, ახლა ეეელასათვის ცხადია.

„მეკლენიდან და სახელუნიდან გამოგზავნილ ტელეგრამებს ეეელა ეჭვის თვალით უეურებს და ვინ იცის, რა გაფიცებებით და რაგორ მოეუმენათ მოელიან ჩენსტოხოვის და ბათუმის ამბებს.

სად-და არიან ახლა მოხალისენი? სად გაქრენ შემოწირულებანი? ვისი კეთილი მოისმის „ძირს ომი“?

თუ, ეს-შარშანდელი მანიფესტანტები გაიძახიან ამ სიტყვებს მთავრობის ბრძანებისამებრ?

არა!.. ეს რუსეთის გოდებაა, გოდება, რომელიც გაისმის რუსეთის ინტელიგენტთა სხვადასხვა კრებებზე, პროფესორების თათბირებზე, მუშათა ერიდობაზე, საეკლესიო გდეხის ქოხში, და, თუმცა ჯერ ეუნარით, დეპარტამენტის შეგნიერ შენობაშიც კი.

ერთი წლის წინათ ჩვენ ბედს ეემდეურებოდით. ოცდა ხუთი წელიწადი გაკეეტარებია ეუფლებობის სულის შემხუთველ ატმოსფერაში. ოცდა ხუთი წლის განმავლობაში სდუმდენ დამუნჯებული ჩვენი ბაგენი. ჩვენ, უღონონი, ვხედავდით, როგორ ეურეუმლავდებოდა რუსის ხალხი დამშვიდებულ ბიუროკრატიულ ჭაობში. განა ეს საკმარისი არ არის, რომ ადამიანი ჭკუიდან შეიშალოს?

მაგრამ გავიდა წელიწადი. ისმის თავისუფალი სიტყვა, ისმის, რაღაცნაც მისი ჩაურეება შეუძლებელია, ისე ხმა მაღალი მოისმის იგი. „მისათვის ის არა თუ ახლა ისმის, მომავალშიც არ ჩაჩუმდება. მართალია, ის ჯერ მხედოთ სიტყვა და არა საქმე, არც რეალური სიკეთე. მაგრამ ეეელა კაცი გრძნობს, რომ ამ სიტყვას საქმე ფეხდაფეხ მოეობა. იმიტომ უნდა მოეეეს საქმე, რომ ის უწინდებურათ გულარ კეთდება. მამძრავებული, განებრივი, შემოქმედი ძალა გაეინდა და არ თანმხდება ძველებურათ მუშაობას. ძალა-უნებურათ უნდა განახლდეს მუშაობა. ახლა, ეეელას საშინლათ წეურია სიცოცხლე! მიეუხედავათ ტანჯვისა, მიეუხედავათ დანთხეული სისხლისა! ეეელას ისე წეურია სიცოცხლე, როგორც მშობიარე ქალს თავისი პირმშოს დასანახავათ. მაშინ მიეცემა დავიწეებას ტანჯვაც, მწეხარებაც და ეეელას მხედოთ ერთი საზრუნავი საქმე ექნება: რომ მშვიდობიანათ იმეშაონ ახლათ შობილის, დიდებულის, თავისუფალი რუსეთის საკეთილ-დღეოთ“.

ასე ათავებს ბ-ნი ნოეგორდანი თავის ძლიერ და გულის სიდრმიდან ამოხახეთქ სიტყვებს დღევანდელი რუსეთის შესახებ.

რედ.-გამომც. ი. პ. როსტომაშვილი.

Дозволено цензорою. Тифлисъ, 19 февраля 1905 г.

ელექტრომბეჭდავი თავ. გრ. ნ. დიასამიძისა, სასახლის ქ.